


# ლიტერატურული გაზეთი

№ 5 10 - 23 ივლისი 2009


გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

## გაუთხრონ ტაბიძის გამოუქვეყნებელი ნახატები



VIII-IX



ლევან წულაძე:

„რამდენიმე წელიწადში  
ჩვენი კლდიაშვილები  
გვეყოლება“

XII-XIII

## მონატრეზული დღეები

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული  
და მნიშვნელოვანი მოვლენა  
ქალაქის ცხოვრებაში

X-XI



დასაწყისი N 1-4

90

ხშირად კარგ მკითხველებსაც ავიწყდებათ, ცუდმა მკითხველებმა კი საერთოდ არ იციან, რომ მაღალ მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ უნდა შეიქმნას, როდესაც მხატვარი თავისი სიტყვების ერთობლიობა და არა საინტერესო ამბავი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ტექსტში ცხოვრებისგან განსხვავებით, მთავარი სიტყვებია და არა ადამიანური ურთიერთობები.

ნებისმიერი ტექსტის კარგად დაწერის ერთადერთი ვარიანტი არსებობს და შემოქმედებითი პროცესი ზუსტად ამ ერთადერთი სწორი ვარიანტის მიგნებას გულისხმობს. და რადგან მხოლოდ ერთადერთი სწორი ვარიანტი არსებობს ე.ი. ტექსტის გაფუჭება მრავალნაირად არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში მრავალფეროვნება ნეგატიური მოვლენაა. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც აუცილებელია მრავალფეროვნება არჩევანის დონეზე, იმდენად არ არის საჭირო რეალური მრავალფეროვნება, რადგან რეალური მრავალფეროვნება ქაოსია.

91

**ტიქსტისთვის** აუცილებელი სიტყვები ხანდახან შეიძლება არამშობლიური ან უცნაური იყოს, შესაძლოა ერთდროულად ორივეც.

განსაზღვრება მშობლიური-ს, ან თუნდაც არამშობლიური-ს ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. მაგალითად, სიტყვა „ვაბზე“ ჩემთვის ყოფით დონეზე გაცილებით მშობლიურია, ვიდრე სიტყვა „წყლული“. თუმცა, კულტურულად და ისტორიულად (ყოფიერად) ეს ასე არ არის, რადგან სიტყვა „ვაბზე“-ს არავითარი დატვირთვა არ აქვს ქართულ წერილობით ძეგლებში, განსხვავებით სიტყვა „წყლული“-სგან.

სიმართლე რომ ითქვას, წარმოდგენა არ მაქვს სიტყვა „წყლული“ წარმომოხაზვად და დიდა იმის ალბათობა, რომ ეს სიტყვა საერთოდ არ არის ქართული წარმომავლობის, თუმცა სიტყვა ადამიანივითაა, მის წარმომავლობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანი მხოლოდ მისი ფუნქციაა (ამ შემთხვევაში ენობრივ სივრცეში). მაგალითად, ბევრი სპარსული, არაბული, ინგლისური სიტყვა ქართულ ენაში ისევე სრულყოფილებიანად ცოცხლობს, როგორც თავად ამ ენებში.

მე ნამდვილად ვერ მოვესწრები საერთო საკაცობრიო ენის შექმნას, თუმცა ყოველთვის მემახსოვრება (თუ ამნეზია ან სკლეროზი არ დამემართა), რომ ენობრივი მრავალფეროვნება უძველესი წყველის შედეგად წარმოშობილი რამ არის და მასში აღსაფრთოვანებელი არაფერია.



ამ შემთხვევაში ბიბლიის (ჩემი აზრით ერთადერთი აბსოლუტურად ზუსტი სიტყვებით დაწერილი ტექსტის) მრავალმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობები ცოტახნით დაივიწყეთ და დამეთანხმეთ.

92

**მწარლავი** ჟარგონს და ბარბარიზმებს ძირითადად ყოფის ნატურალისტური ასახვის მიზნით იყენებენ. რა თქმა უნდა, არსებობენ გამონაკლისები. მაგალითად, ბიტიკური ლიტერატურის წარმომადგენლები ჟარგონს და ბარბარიზმებს უფ-

დავით ქართველიშვილი

# პროზისა და საკუთარი თავის შესახებ

ჩემ, სხვა ანას



რო იდეოლოგიური მიზნით იყენებდნენ. თუმცა ამ მხრივ ყველაზე დიდ წარმატებას არაბიტნიკმა მწერალმა ენტონი ბერჯესმა მიაღწია, რომლის რომანი „მექანიკური ფორთოხალი“ ჟარგონის და ბარბარიზმების იდეოლოგიური გამოყენების კლასიკური (მისაბაძი) ნიმუშია, თუმცა ერთადერთ შემთხვევაში ეს ტექსტი ყოველგვარ ეფექტს კარგავს, ვგულისხმობ რომანის რუსულ თარგმანს. შეგახსენებთ ბერჯესის ინგლისურენოვან რომანში პერსონაჟები მეტყველებდნენ რუსულ სიტყვებს („ბრატ“, „მოლოკო“) იყენებენ.

93

**საქართველოს** პოლიტიკური ისტორიიდან გამომდინარე ქართულმა ენამ ძირითადად აღმოსავლური ენების გავლენა განიცადა, ქართული ჟარგონი კი ძირითადად რუსული სიტყვებისგან შედგება. ამის მიზეზი ისაა, რომ ჯერ კიდევ ორინამი ათეული წლის წინ მასშტაბური კომინალური გარჩევების და ჯარის ენა რუსული იყო, ეს ორი სფეროც კი ჟარგონის ორი დიდი ბუდეა.

დღეს პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და ქართული ენა (ეს გლობალური მოვლენაა) ინგლისური ენის მძლავრ გავლენას განიცდის. ინგლისური სიტყვები არა ჟარგონში, არამედ პირდაპირ ოფიციალურ ენაში მკვიდრდება. თუმცა, ამ პროცესების პროზაში ასახვა, თუნდაც პაროდირების მიზნით, არ მიმართა არც ესთეტიკურად და არც ფილოსოფიურად გამართლებულად, რადგან, ჩემი აზრით, ტექსტში ყოფითი ენის კოპირება არ ნიშნავს მაინცდამაინც ყოფაში ღრმა და ნამდვილ წვდომას და ამ ყოფის გაგებას, რადგან ყოფა არ არის ერთსახოვანი.

საუბრები ქუჩაში, სამზარეულოში, საწოლში (მეუღლესთან ან საყვარელთან ან იდეალურ შემთხვევაში საყვარელ მეუღლესთან) ყოფის, ასე ვთქვათ, ყველაზე ამკარა სახეობაა. საუბარი საკუთარ თავთან, ღმერთთან, მიცვალებულებთან ეს ყოფის უფრო დაფარული და, აქედან გამომდინარე, უფრო რთული სახეობაა და არ მგონია, საკუთარ თავთან, ღმერთთან, მიცვალებულებთან სასაუბრო ენა და ქუჩაში, სამზარეულოში და საწოლში (მეუღლესთან ან საყვარელთან ან იდეალურ შემთხვევაში საყვარელ მეუღლესთან) სასაუბრო ენა ერთიდაიგივე ენა იყოს, თვით ის სიტყვებიც კი, რომლებიც ამ ორი სახის ყოფაში მეორდება ერთიდაიგივე სიტყვებად, არ აღიქმება სიტყვების წარმომთქმელის მიერ.

94

**ხეცნი** ყოველთვის სასარგებლო რჩევებს იძლევიან: ერთერთი ზეციური რჩევა შეეხება იმას, რომ ადამიანმა დღევანდელი დღით უნდა იცხოვროს და არაფერი არ უნდა დაგეგმოს, მაგრამ ადამიანი ზეციურ რჩევებს ნაკლებად, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდ არ ითვალისწინებს. თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია გრძელვადიანი დაგეგმარების გარეშე. ადამიანების გარკვეულ კატეგორიას შავით თეთრზე აქვს აღწერ-

ული საკუთარი ცხოვრების უახლოესი წლები. ასეთ ადამიანებს წარმატებულად ადამიანებს ეძახიან სხვა (გამოდის რომ წარუმატებელი) ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე დღე აქვთ დაგეგმილი, და ამის შემდეგ ჩვენ ვამბობთ რომ, კაცობრიობა პროგრესირებს! ვამბობთ, რომ კაცობრიობა დიდი და ნათელი მიზნისაკენ მიდის, თან გვიკვირს, რომ მსოფლიოს რობოტი ბიუროკრატები მართავენ და არა ჩვეულებრივი ადამიანები. ეს ასე იქნება მანამ, სანამ ადამიანები გრძელვადიან დაგეგმარებას არ შეეგუებებიან. უკუნიტი უკუნიასამდე.

მოკვდაობა არ არის ჩვენი მთავარი პრობლემა, ჩვენი მთავარი პრობლემა ჩვენი სიბნელეა.

95

**წიგნის** დამთავრება ზაფხულის დადგომამდე მქონდა დაგეგმილი, მაგრამ არ გამომივიდა, რადგან წიგნის წერის პარალელურად ყოველდღიურობაში ვცხოვრობ. ყოველდღიურობას თავისი სიხარული და ტკივილი მოაქვს, სიხარული და ტკივილი კი ადამიანს საქმიანობაში აფერხებს.

ყოველდღიურობა მარადისობის ანტიპოზიტი, თუმცა რეალურად ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, რას ნიშნავს და როგორია მარადისობა. მაგრამ მაინც ვფიქრობ, ვამბობ და ამ შემთხვევაში ვწერ კიდევ, რომ წიგნებს მარადისობისთვის ვწერ, რადგან, ჯერ ერთი, ძალიან მომწონს ეს განსაზღვრება (შესაძლებელია მცდარად ჩათვალოთ, რომ ბუნდოვანების გამო, მაგრამ მაშინ რატომ არ მომწონს არანაკლებ ბუნდოვანი სხვა განსაზღვრებები, მაგალითად: მძობა, ერთობა, თავისუფლება) და მეორეც, ირთხედავად იმისა, რომ წიგნები (გვულისხმობ მხოლოდ მაღალმხატვრულ ლიტერატურას) ყოველდღიურობაში იწერება და იკითხება, მაგრამ მათ არანაირი კავშირი არ აქვთ ყოველდღიურობასთან. ასეა იმ შემთხვევაში, თუ ყოველდღიური მოხმარებიდან მარადისობის ცნებას ამოვიღებთ, თუმცა ეს მხოლოდ დაშვებაა, რადგან არ არსებობს ყოველდღიურობა მარადისობის გარეშე, ყოველდღიურობაში ცნების დონეზე მაინც არ არსებობს.

96

**ჩამი** წიგნების საუკეთესო შემფასებელი თავად მე ვარ და, აქედან გამომდინარე, გავრცელებული აზრი „მე დაწვენი და ახლა მთავარია, რას იტყვიან კრიტიკოსები“ ჩემთვის სრულიად მიუღებელია, მითუმეტეს, რომ მეორე გავრცელებული აზრის თანახმად, საქართველოში კრიტიკოსები საერთოდ არ არსებობენ.

კრიტიკის არარსებობა ჩვენში შემდეგნაირად ხსნიან: „ყველა ყველას ნაცნობია, ყველა ყველას მეგობარია და არავის არ უნდა არავის წყენინება და ამიტომაც არ არსებობს კრიტიკა“.

ეს განმარტება, რბილად რომ ვთქვათ, სუსტია. ზუსტად, მაგრამ კორექტულად რომ ვთქვათ, დებილობაა. ზუსტად, მა-

გრამ არაკორექტულად რომ ვთქვათ... მაგრამ არ ვიტყვი...

არ არის ტექსტის დაბინძურება საჭირო, თუმცა ამ განმარტებაზე გადავლა აუცილებლად მიმართავ: საქართველოში სამი მილიონი ადამიანი ცხოვრობს და გამორიცხულია, რომ ისინი ყველა ყველას ნაცნობი (მეგობრობაზე ზედმეტია საუბარი) იყოს, და თუ ვცდები და მართლაც ყველა ყველას ნაცნობები და მეგობრები ვართ, ჯობს ეს ამბავი სამოქალაქო ომების დაწყების წინ გავიხსენოთ ხოლმე და არა ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის დაწერის წინ, და კიდევ: არავის არავის წყენინება არ უნდა, პირველი აზრი, რაც ამ შეხედულების მოსმენის შემდეგ მიჩნდება თავში ისაა, რომ საქმე ძალიან ცუდაა და ბევრი სისულელე იწერება, თუმცა საგანგაშო არაფერია, რადგან ზოგადად მსოფლიოში საქმე ცუდად და ზოგადად მსოფლიოში იწერება ძალიან ბევრი სისულელე. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ორმოც-ორმოცდაათი კარგი თანამედროვე მწერალი, რომლებსაც სიამოვნებით ვკითხულობთ რომელიმე ერთ ქვეყანას კი არა, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს (რატომ ვმსჯელობთ საქართველოში ლიტერატურაზე სპორტული ტერმინოლოგიით?) წარმოადგენენ და აქედან გამომდინარე, დღეს საქართველოში თუ მხოლოდ ოთხი-ხუთი კარგი მწერალია, ამაში სამწუხარო არაფერია, პირიქით ეს სასიხარულო ფაქტია.

გვულისხმობთ თუ არა ამ ოთხ-ხუთ კარგი მწერალში საკუთარ თავს?

ამაზე პასუხს 97-ე თავში გაიგებთ.

97

პი.

98

ეს ამბავი დაახლოებით ხუთი-ექვსი წლის წინ მოხდა; შესანიშნავა (იმ დროს ასე არ ვთვლიდი, იმ დროს მხოლოდ საკუთარი თავი მიმართავ შესანიშნავ ერთულად) პოეტმა და აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ლობჯინიძემ ერთერთ გაზეთში თვის ლიტერატურული მოვლენების მიმოხილვა გამოაქვეყნა, რომელშიც ჩემი ერთერთი მოთხრობა (ზუსტად არ მახსოვს რომელი) იყო ნახსენები. გიორგიმ ზემოთხსენებულ მიმოხილვაში გურამ დოჩინაშვილის შემოქმედების გადამმღერელი მიწოდა. შეიძლება ზუსტად ამ სიტყვებით არ მოვუხსენებია, მაგრამ აზრი ასეთი იყო. დღეს კარგი მწერლის შემოქმედების გადამღერება სამარცხვინო საქმედ არ მიმართავ, რადგან გადამღერება შესაძლებელია ნიჭიერადაც, მაგალითად ჩემი მოთხრობების პირველი და მეორე კრებული ოთარ ჩხეიძის და გურამ დოჩინაშვილის სტილისტური ძიებების პაროდირული გადამღერებაა, დღეს, რა თქმა უნდა, არცერთი ამ წიგნის არსებობა არ მემამყება, მაგრამ არც მრცხვენია. მაგრამ იმ დროს სხვა წიგნები არ მქონდა დაწერილი, თან ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის ვიყავი (თავი შეიკავებ და არ გამახსენოთ ბარათაშვილი და ლერმონტოვი) და სხვანაირად ვფიქრობდი. აქედან გამომდინარე, კარგი სალანძღავი სერენადა ვუმღერე გიორგი ლობჯინიძეს. მეორე ხმას, ჩემი თაობის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტი შალვა ბაკურაძე მღეროდა, ისე უბრალოდ, ჩემი ხათრით, რადგან მნიშვნელოვანი პოეტების შემოქმედების შესახებ წერილების წერას საქართველოში ძირითადად მათი სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ იწყებენ...

დასასრული შემდეგ ნომერი





ხალი მთვარის ნაკვალავი (სიყმანვილის სურათებიდან)

მეტელის უკან, უკუნში ვწევარ, მიაქანავებს მწუხრი ფაეტონს... გამჯდარა ტანში ნეტარი რწევა, ვშიშობ - ვარსკვლავებს ღერძი გაედოს.

ცხენები ფლოქვებს იქნევენ, მძიმეს, ზურგს არ უზნიქავთ მათ საზიდარი; ძნელი არაა მიხვედრა იმის - გაჯერებული, ბნელიც მზით არი.

ვიქროლებ, ვიდრე მეც დავიმტვრევი, ზემოთ — უფსკრული, დაბლა — ხევი; ვის ახსოვს, ბორბლებს რა მთა-მინდვრები და რა ჭალები დაუხვევია!..

კალიების კრინს ძილქუში მოყავს, იშუშებს ღამე ტახის ნაეშვარს, ჩემოდნის ტყავმა დანამა ლოყა, სიზმრებში თავით რომ გადაეშვა.

გრწყინვა თოვლიან გურსში

არ მეღევა სანუხარი, ხშირად ვნაღვლობ ამადაც - რად არ დაგვრჩა სახეები იმ ასურელ მამათა?!..

იის ჯამში დაგროვილი ნამის მსურის დაღევა... გაანათა საქართველო იმათმა ნაკვალევმა.

აივანი. დულს სამება - ალი ასდის ელიას... შუქთა დენა, წმინდანების მადლი არ დაგველიოს.

ქათქათა კავკასიონს გავყურებ

მინდა ჯაჭვის რგოლებად გამოვჭედო მე რვალი... მუქარიან ქარებით მოინვეს თებერვალი.

მწვერვალებზე, თოვლისა იმან იცის ახვეტა, მთებს შემოეგრაგება - ვერცხლის თასმად და ღვედად.

ყელის გამომღადრავი, კლდეზე კლანჭებს ალესავს; ვენახიანს, დართვილულს, დაეცემა ჭალებსაც.

მოზურბურე საბურველს დაგვაფენს თებერვალი - აკივლებულ ქარებით, თეთრ ღამეთა მკერვალი.

ვეღარაფრით დაგხსენი

(ორფევის ნაკვალევზე)

ციმციმებს, ტოკავს, დღემდე არ აშრა ტბორი -- სისხლის და ცრემლის ნაზავი... მოჩვარულ გულში გაჩრილი დაშნა, ვარსკვლავთა შუქი, ოქროს ძნასავით.

კვიპაროსები ყორესთან დგანან... გათრეულს, ჩემდარს, ვინ რა დახატრა?! გაილესება, სიბ ქვაზე, დანა, დამჭკნარი ყელის გამოსალადრად.


ხეს, ცხოვრებისას, უხმება ვარჯი, ველარ ვირჯები მხნედ, მამაცურად; მომელანდები ქვესკნელის არჩივს, თვალები ისევ ცრემლში დაცურავს.

ნურავინ იტყვის - ჯავრი იძლია, ჩამეყვინთება, ვინთები წამსვე... წრე მაკრავს, ფეხი არ მომიცვლია, რა მიგავს შენი ღამიდან წამსვლელს?

დამინდე, აღარ ინდომე თავად - უნდობ მინდორთან ახლოს მიგეშვი... შევენირები მანდაურ დავას, გამდრიკავს ლანდი ევრიდიკესი.

წუთიც არ დადგა დაუზაფრელი... მარტო ამისი მკლავს გაფიქრება - ჩვენი დამფლეთი, მოდის აპრილი, ოცდათორმეტი წელი იკვრება.

ჩრდილშია, მიცდის ქუში მენავე, მონა ვიყავი, ვრჩები მონავე; ვილევო, მომაქვს ცის ყვავილები, ჩემივე ხელით შესაკონავი.



ემზარ კვიტაიშვილი

ბარბაროსთა შემოსევა (კვიტხულობ ძველ ანალებს)

ფიცარს, გულისას, გინგრევს საღარი, სიცოცხლე კვლავაც სამუდაროა... სამარხებიდან ამონაყარი ვერცხლის ბალთები... ამუ-დარია.

ტყიდან გავარდნილს, ასრებენ ნადირს, ვერსად წაუხვალ წუილს ისართა; ლაშდარენილი ლაშქარი მათი თითქო მინიდან ამოიზარდა.

მათრახის ელვა ფერდებს უცხუნეს, წრიალებს სისხლი, გაუზუნები, ყიჟინის ჟინში გაილუნები, გაფიცხდენენ, რომელს ნახავ უცხენოს, მოაგელვებენ ჰუნეს ჰუნები.

გადმოვლო დონი, დუნაის სალტავს - გადაკერებულს რომ გავს ას ღამეს; უდაბნოს ქარში ნაფრენი კალთა, მინდვრის თავგევის წამოსასხამის.

ირიბად გაჭრილ თვალბში ენოთ გადატრუსული, ცეცხლით, სტეპები; გამოყენენ ხანძარს, მოსულან შენტან, დასაკეპავად ეიფები.

შეძრა, გაბზარა რომის კედელი, ყორნები ლეშზე რომ ასადილა; ოქროს გვირგვინით შუბლშეჭედილი, წინ მოუძღვება ურდოს ატილა.

ბარათი მგომარს

ავგომორდება სისხლის ღელე, ნუ ინაღვლებ ნურას, ყინულს ჩახვეს მზე, ჩახჩახა, ძმაო თეიმურაზ!

ათასჯერ ხარ მიხვედრილი წუთისოფლის იგავს! სიმხნე გმართებს, მკერდზე გეკვრის მართვე -- თემურიკა.

ყველა ტკივილს დაგიამებს კოცნა ანუკასი; ჩრდილში მყოფის ნათქვამს მეტი აქვს წონა და ფასი.

აღზევებას ღამობს ფლიდი, მომლოდინე ქების; შეუტყე, მიტევება, ბილწის, არ ეგების!

ტყავს ხდი მუხთალ „გვირგვინოსნებს“ - ჟინით, დაუმცხრალით; ჯეირნის მწვადს, განდევილის, ამჯობინე მხალი.

ნაბადს ირგებს, ჩემი ჯობსო, ბევრის ფიქრში ეგ ზის, ვერავინ გრძნობს, შენნაირად, ჟრჟოლას ქართულ ლექსის.

არაერთხელ თქმულა შენზე - მახვილი მტერს მოსდო; ზოგის მოკვეთილი თავი გორავს ვით კომბოსტო.

თავად იცი, არ მჩვევია ხოხვა და ჩალიჩი, კაცის მუდამ მახარებდა - სიალალე, ნიჭი... სიყვარულით მოგიკითხავს შენი დავიდიჩი.

სოფლის მკერავი

(ხსოვნებიდან წარუშლელი)

ცარცს და მაკრატელს იღებდა ძველი მანქანის უჯრიდან; მამიდაჩემი, ანეტა, სამ გოგოს კაბებს უჭრიდა.

დღე, ნაცრისფერი, სარკმელში, იცრემლებოდა, კვიმატი... ატმისფრად მწიფდა, ყვაოდა სახე და შუბლი იმათი.

ჩითს, ღამაზს, ჭრელად დაფოთლილს, მოდას ურჩევდა სეზონის... ვენახი შვენის ტალავერს და თეთრი ვარდი-მეზონის.

ჩემზე ათი წლის უფროსთაც, მსახვრალმა ხელი დარია; ის ორი ბებრუცუნაა, მესამე - ცალად მკვდარია.

მინაში ჩადნა მამიდა, რალა ვარ, მეც დავინგერი... ზეთნასხურები, ბზინავს და გრიალებს მისი „ზინგერი“.

სტუმრად დედაჩემის მამობრატან

(სიყმანვილის გახსენება)

ქარვის მარცვლები ეკიდა აბაჟურს, ყრუნს და კოპნიას, ბუხარი ენთო, ვუმზერდი საათის გირჩის კონწილს.

ბიჭი ვიყავი, არავინ არ მახსენებდა საზრუნავს; უბადრუკ ბებრად ვიქეცი, სიამე ვინც გაასრულა.

ის აბრეშუმის ფარდები რა თეთრი იყო, რა ნაზი!.. სად გაქრა მყუდრო საღამო და ფურცვლა „ინდიანასი?!“

როგორ დაგტოვო?!

(ჩემს ბიჭს)

ხანმოთუელს და გათანგულს, ღამე, სხვა, ვისთვის მეთია? შენი შეხედვა, ყოველი, სიცოცხლეზედაც მეტია.

წყლულზე მალამოდ დამედე, რის სამოთხე და ედემი... ცის აფრავ, არაფრისათვის, აროდეს გამემეტები.

არ ნაგახდინოს ამ ქვეყნის სიგლახემ, სიბოროტემა, უნდა ივარგო, დავითის ნერგი ხარ, მწვანეტოტება... რა გულსაკლავი იქნება - აქედან ჩემი ოტება!..

რომელი ერთი მოვიგონო

მოედანი მტკვარგალმა. იქ დამშორდა გულდა. ჯავრი არ მომასვენებს - თვალსმიფარებულთა.

ტანში შიში დამივლის - ვისი დადგა ჯერი... მოლიმარი, სულ მახსოვს ჩემი ედიშერი.

რაც იყავი აქამდე, გულო, იმად დარჩი. ბარში ვხედავ, ნასვამებს, ზაურსა და არჩილს.

ჩამოთვლამაც, უბრალომ, სევდა დამასია; ყველა ახალგაზრდაა, ყველა ღამაზია.

ნერგი, ჩემი დარგული, აღარ გაიტოტა; მწუხარება — ზღვის ტოლი, სიხარული — ცოტა.

სადარბაზოში შემოჭრილი ქარი

საბურველს, მწუხრის, ხედავ სხვაფერად, თოვლი ასევე იდება ხვალდამ... გაყინა შუბლი, მწარედ დაბერა, სახურავიდან, სიცივის ტალღამ.

აღმა და დაღმა აგრძელებ ჩარჩალს, ტანჯული, ერთი მრავალთავანი, ლურჯად მფეთქავი ვარსკვლავი არ ჩანს, ბეჭებს ყინულის ლესავს საკანი.

არ ენამლება სიბერის წელკავს, ქარიშხლის ღმუილს, უგზოდ ხეტიალს... საითაც პირი იბრუნე, ყველგან - სველი ჯურღმული, ჯოჯოხეთია.

სამღურავი წუთისოფალს

„აგორებულო ქვაო“, უგულოვ და გამსრესო, რად გაიმეტე აგრე ინანიშვილი რეზო?!

გულზე ნაღველი მაზის, დააკლდა იორს, ფაზისს... ცოტამ იცოდა, მისებრ, ფასი მზის, სილამაზის.

ვერ ჭვრეტს უჯარმას, გომბორს, დაკბენილ კალთებს, ზვამლის, არაგვისპირას, დილით, ვერ ისმენს ყივილს მამლის.

ობლად გადამფრენს, მზერას ვერ გააყოლებს წეროს, არა აქვს იმის თავი, ნარჩიტას მოეფეროს.

ჩვენდა იმედად ვლიდა, რა ჰქმენ, გეცლია ცოტა!.. სიყვარულს გვასწავლიდა სულიერ-უსულოთა.

არაფარვა ვიზრუნავდი

არ შევიკრავდი მოშვებულ თასმას, არ დაგიდევი ჭამასა და სმას, აღარც ჩასაცემელს, მოხდენილს, ოლონდ, გივისთან ერთად კინოში დამსვა.

ბოჰემა ლოთზე ის ფილმი ვნახო, პარიზიდან რომ ვერაფრით გადის, წევს, გაბურდული, მდინარის ახლოს და ვერ ისრულებს, საბრალო, წადილს.

ვასუშტი კოტატიშვილი

ხის აივნაზე (ბოლო მონახულება)

გადახლართული - ხროტინი, კვნესა. გართხმული იყავ ჩემს წინ იობი. ხორცს შეასხამდა, წამებას შენსას, რომელი მაგი და მსახიობი.

წრიალებს სული, უფალს რომ ანდე, თრთის მკერდი, ოფლით რომ ილუმპება... თვალები თაფლის მიგიგავს სანთელს, ფეხებიც გიჩანს ყვითელ რუმბებად.

ფარისველობას, სოფლისას, დახე! - არყოფნას გაჩვევს ყოველი ხაზი... ჭალარით მოსილს, გიჩრდილავს სახეს ფოთლები, შენი დარგული ვაზის.

გაუძლებს ამდენს რა რკინა, რა ქვა? კლდეს დაადნობდა ის წვა და დაგვა... გზრავდა წყეული... რა ვნახე, ძმაო... ოხრავდი: ვაი, სიცოცხლეს, ამგვარს!..

საგონებალში ჩაპარდნილი

სად ჩაქანდენენ!.. მიგტირი თავთა, დასადაფნელთა... არსად მაქვს მისასვლელი, რა უეცრად დაბნელდა.

ამა და იმ ქვეყნისა, რა თხელია ტიხარი!.. რა იოლად ვყოფილვარ, თურმე, დასაჩიხარი.

მწუხარების, შიშის გარდა,  
ველარაფერს ვიშოვნი,  
შინ თუ გარეთ... ვეშას წყალი.  
გზანი, სავიშვილონი.

ალაგ — ლოდი, აყალყული,  
ალაგ — მინა, აყალო...  
თქვენ მირჩიეთ, კეთილებო,  
თავი რას დავახალო?!

**დამწვარი ნაშრომის სურნელი**

წლები, ჩემი ცხოვრების,  
იკლანკება, იკლებს...  
ჩამაჯენენ გრანიტში,  
მომავლებენ ფიქლებს.

თითქმის აღარაფერი  
გრჩება სამომავლო...  
დამეყრებით, ფოთლების  
ფერფლო ანუ ნავლო!..

წაშლის მრუდე ხერხემალს  
რკინის შალაშინი...  
სად ჩავტოვო, შეშლილმა,  
უსაშველო ჟინი?!

რა ვეცადო, თქვი, ტაძრის  
გუმბათო თუ თავო,  
ზვავი, ციდან დაძრული,  
რითი შევაკავო?!

**ნითქაქუდიანი გოგონა  
ავტობუსში**

(არაფერს ვამატებ)

ერთი აგიჟებს მეორეს  
(ვისმენ, მიკვირს და ვკრთები) -  
წარმოიდგინე, კბილებზეც  
ამოგდიოდეს თმები.

მეორე ასე პასუხობს:  
არც ის იქნება ცუდი -  
იქ, სადაც კუდუსუნია,  
წამოგეზარდოს კუდი.

ვიჯექი, თავი ჩავკიდე,  
ანკი მელონა მე რა?!  
პირველმა გაიცინა და  
რაღაცა წაიმღერა.

**ვითომ ამაზა მწყობა გული**

რა ჯილდო ანდა რის აღზევება -  
ველარასოდეს წავალ აღზევანს...  
ოცნებად მექცა (დიდს რას შევება?)  
წერილმანებისგან თავის დაღწევა.

სხვებს - „მერსედესი“ და „ტოიოტა“,  
„ფორდი“ და „ვოლვო“, მე - არც „ფიატი“...  
არ დამტყობია წყენა იოტად,  
კაცს ლუპავს ჩვევა და ხასიათი.

**მისიზმრა, მაჟურაპელს  
პართოზლი**

მეც მწყინს არად ჩაგდება  
ზრუნვათა და ამაგთა...  
ტალღამ ამომატრიალა,  
მერე მალლა ამაგლო.

ჭერის ახლოს ვბრუნავდი,  
არც ისეთი გულადი,  
ვთქვი, სცენას არ დავასკდე  
სამოსით, უჯრულათი.

გამძვრა ფეხსაცმელები,  
ქუდი ცალკე დაქროდა,  
არ მეჯერა თითონაც,  
ისე ვგავდი აკრობატს.

ამას ჯობდა, პირთეთრი,  
გავმხდარიყავ პიერო...  
რა იყო ის სიზმარი,  
რისი სამაგიერო?!

**ზურაბ ნიჟარაძის სახელმწიფო**

ხელის და ფუნჯის მიჰყვება სრიალს  
ცხოვრება მისი - ძნელიც, მარტივიც;  
დაცლილ ტუბებთან წამწვებიც ყრია,  
სიცილი სუფთა აქვს მოცარტივით.

ფრთაჭრელ ფრინველთა წყება და წყება,  
აქეთ - რაქილი, იქეთ - პიერო...  
ცა-ხმელს სამოთხის ფერებით ღებავს,  
არაფერს ითხოვს სამაგიეროდ.

**კაფა „ინდი-მინდი“  
(ძვირფასი იუბილარი)**

ყველაფერია ამ ქვეყნად ღვთითო,  
სიცოცხლე ყველას გვეძლევა თითო,  
კაცურად უნდა გალიო დღენი -  
ამბობს ძმა ჩვენი, კიკვაძე დიტო.

ასეც მოიქცა, - იცხოვრა ლაღად,  
ყურს უგდებს უფლის რჩევას და ლაღად,  
რაინდად გაჩნდა, მისი მამულის  
ჭრილობა გულზე აჩნია დაღად.

სიკეთით სავსე, გვიყვარს ამადაც,  
მუდამ მოძულე - შურის, გაცემის;  
მთელი ქალაქის პირველ თამადას,  
არაფერი სწამს არაკაცების.

ენამზემ, იცის, როდის რა გვითხრას  
არ აგრძნობინებს არვის, სხვა ვარო.  
ერთად დავლოცოთ: გვეყოლე დიდხანს,  
ჩვენი თაობის შნოვ და ჯავარო!

**ზოოლოგიური მაღაზია  
შავათვალიწარა**

ფაფუკი ყბები, ციცქნა პროფილი.  
წრილმა გული მოჭეჭკა, მოწვა.  
ყუთში, შუშისა, ხელაპყრობილი,  
დღეს ზაზუნების ვიხილე ლოცვა.

ბურბუშელები. მწვანის კვანთა.  
აყალყულიყვინენ ფერად მხედრებად.  
რას ნატრულობდნენ, საწყლები, ნეტავ,  
ღმერთო, ისმინე მათი ვედრება!

**უსყვეტი ჯაჭვი**

ღებება საღბი და ქანაობს ბაღბა,  
ვერვინ წაართვას სოსანს სინაზე...  
მსხვერპლისთვის ნისკარტს ილესავს,  
ალბათ, მიმინოს ყიბყიბს ვისმენ დილაზე.

სისხლი მიგყვება, გზავ, ჭეშმარიტო,  
სიტურფეც, კორტნაც - ბოლომდე  
გასტანს; მაღლი ბუნების, ვერრამ დაშრიტოს,  
სუყველაფერი მკრთალდება მასთან.

**ფრთოსნები ზამთრის სითითრეპი**

ვარდისფურცლები ფიფქების ვარდნა,  
სახელდახელო სახელ-დიდება...  
წამილო თქვენზე ნულიშმა, დარდმა,  
ღამეს სად ათევთ, ცქნაფა ჩიტებო?!

თქვენ სახეს ვეძებ თვითოეულ სხივში,  
თავი თუ გიჭირს, ვიღას უშველი?!  
გაბმულს, მოწყენილს, ვერ ვისმენ ჟიჟივს,  
თივა თუ ნახეთ, შესაყუჟველი?!

ეგებ ვერ ხედავთ ერთადერთ ფერსაც,  
წუხელ, მეც, ქარმა, რა დამანია!..  
ვაპთუ, საკენკი ვერ ნახოთ ვერსად,  
ვერც გაისველოთ ყელი, პანია...

**რჩევა მჭირდება**

მიგელაობს ზაფხული,  
არ გამწირავს მისიანს;  
ფხა გულისა ავლესე,  
მზე ცეცხლობს, ივლისია.

გაიფოფრეს სამოსი  
ალვებმა და ძენებმა...  
გამეცლება ივლისიც,  
ავგისტოს გადაწვებმა.

მაღე დაზვინდები, მსხალო,  
გულყვიტულავ, წვნიანო...  
შიში შემძრავს ვენახთა,  
სეტყვა არ იწვნიონო.

ორადორი ნაპირია,  
უფლისწულო, დოფინო!  
მითხარ, გაღმა-გამოღმიდან  
რომელი ვამჯობინო?!

**ნაღვლიანი ამოცხრა  
(იმპერატორის მეუღლე)**

ლოდქვემ ძილი, ლივია,  
ჰოი, რა ხანგრძლივია!  
ვაპთუ ყინვამ დააზროს,  
ამოსულა ძლიე ია!

მახრჩობს ყელი, გამშრალი,  
სულს ვლევ, რამე დავლიო,  
გადაკეტა ხველებამ  
იმედი, სახვალიო,  
თითონ იცის, რა ფერი  
მოუხდება ალიონს.

სადღა უნდა ვიარო,  
გზა დამეხმო, მე, ვია,  
ვერავინ უმკლავდება,  
ჟამი ყოვლის მძლევი...  
ვის ვეჯობრო, ჯებირი,  
ბოლო, გასარღვევია.

მცივა, არ ვებრალები  
ამ ცას, ოქროსმძივიანს;  
გვარინად შეღამდა,  
ტურები გაჰკივიან...



მარჯვნივ ტბა თვლემს, უძრავი,  
მარცხნივ - ბნელი ხევი...  
სუნთქვას, ალი, პარპალა,  
ბევრჯერ შეურხევი...  
შენ თუ არსად მეგულვი,  
სად სიკვდილში შევიარ!..

გლუვი, გალიგვებული,  
სვეტები, ირგვლივია...  
გლოვის წუთებს ინახავს  
შენი ვილა, ლივია!

**ჩამავალი მხით დამოქრძილი  
აპურის კაღალი**

მე ასე ვსჯი, არ ვიცი,  
რას იტყვიან კაცნი;  
სიგიჟეა, რასაც რო  
არაფერში გაცვლი.

ჟოლოსფერი ის სხივი,  
ზღვის ფსკერზე ნალესი...  
რას მანახებთ, იცოდეს  
იმნაირი ალერსი?!

ფერავს შვეულ ოთხკუთხედს,  
ფუნჯდაუკარებლად,  
რათა გაუჩინარდეს  
მოფარფატე პეპლად.

ვარ, ვიქნები მადევარი -  
შექანებულ შუქის;  
ვერ ვიხსენებ იმაზე  
სუფთას, უმსუბუქესს.

კურთხეული, თუ საფლავშიც  
ჩაგყვა, ჩაგეფინა,  
მოგიფონებს, უმჯობესი,  
ვერც ინატრო ბინა.

**საავადყოფოს დატოვება**

გაცრილ მოგონებებით  
სანამ უნდა ვიკვებო,  
ხუდადოვის ძაღლებო და  
აქაურო ჩხიკვებო?!

გროვა - ჩვენი პალატის  
თეთრეული, შალითა...  
ძილში არ ჩამესმება  
თქვენი ხმები ხვალღიდან.

რიგს აწვენენ, ჭლექმეყრილთ,  
რიგი - სახლში გაუშვეს...  
ვედროებით ზიდავენ -  
ფაფეულს, მჭლე საუზმეს.

ავადყოფთა გინებას,  
ხველას ვცნობდი შორითვე,  
ჩაის სმაში, ხრიგინში,  
ჩაილია ორი თვე.

ფიჭვის მოგაქვს სურნელი,  
დილავე, განმახლებო!..  
არც თქვენ დამავინყდებით,  
ხუდადოვის ძაღლებო!

**თავს არაფარვა ვღაბ**

რამდენია, ვერ ანსხვავებს  
დაფნასა და ნამჯას,  
მიმსახურეთ, სანამდი  
გავხარჯავდე ამ ხანს,  
სანაქებოდ გავირჯები,  
თუმცა ვგავარ ჯანჯალს.

სხვას არ გავრევ,  
მარტო ვმწყემსავ  
ფარასა თუ არვეს,  
შურდეთ, მიყვარს შერევა -  
გიშრისა და ქარვის,  
ჩემ სიგლახეს, მავრალი,  
არ ვაბრალებ არვის.

არ აჩქარდეთ,  
მახინჯი არ  
ამჯობინოთ ლამაზს,  
მე არც გურუს ვედრები,  
არც დალაი-ლაამას,  
თქვენ მოიგებთ, წაგებული  
შეგახსენებთ ამას.

2009 წლის 26 ივნისის „ლიტერატურულ კახეთში“ (N4) გამოქვეყნდა ბ-ნ ტარიელ ჭანტურიას ჩანაწერები „დინოზავრიდან დინოზავრამდე“. მისი დიდი ნაწილი, ქვესათაურით „ცუდი ინტერვიუ“, ეთმობა რევავ თვარაძის კრიტიკას, რომლის დროსაც ბ-ნი ტარიელი ბევრჯერ გადადის კორექტულობის ზღვარს. რაკი აღნიშნული ჩანაწერები სცდება ლიტერატურული კამათის ფარგლებს, იძულებულნი ვართ, პასუხი გავცეთ ცალკეულ ბრალდებებს.

ბ-ნი ტარიელის სტატია, თუ რეპლიკა, არის ნეგატიური გამოხმაურება რევავ თვარაძის ინტერვიუზე „გალაკტიონის და ანა კალანდაძის გარდა პოეტს არავის დავარქმევდი“, რომელიც დაიბეჭდა 2006 წლის 29 იანვარს გაზეთ „ახალ თაობაში“.

ბ-ნი ტარიელის სტატიის შინაარსი, მოკლედ თუ შევაჯამებთ, შემდეგია (რიგ შემთხვევებში მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ნათქვამის უტყობობას ვაკეთებთ, რაც, ბუნებრივია, ასე არ არის. ყველგან ვცდილობთ დავიცვათ სტატიის მიმართული აზრი და სულისკვეთება):

რაკი რევავ თვარაძის სტატიის სათაურია „გალაკტიონის და ანა კალანდაძის გარდა პოეტს არავის დავარქმევდი“, ამიტომ ავტორი (რ. თვარაძე) თავიდანვე მიმართავს ემპატიობას და საკუთარ თავს აცხადებს ლიტერატორად და პროფესორად (რაკი გალაკტიონის შემდეგ მწერლად აღარავის არ თვლის); გალაკტიონს დიდ მწერლად აცხადებს იმიტომ, რომ არის ხელმოცარული, ხოლო ხელმოცარული კაცი უნარს მოკლებული ყოფილა აღიაროს მეორე ადამიანი; მას ათის აღიარებას ისევ ერთის აღიარება ურჩევნია; რაკი გალაკტიონთან ერთად ანა კალანდაძესაც ახსენებს, ესე იგი, პოეტი მამაკაცების გარდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ყველა ქართველ პოეტ ქალსაც უარყოფს (მოჭინილია ვრცელი სია, რომელშიც ჩამოთვლილი არიან ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი შემოქმედები); მომდევნო ორი ბრალდება იგივე ჟანრიდან არის; შემდეგ ნათქვამია, რომ სტატიის ამგვარი სათაურით თუ შემოხსენებული დებულებით ის ნამდვილად გულს ატკენდა თავის შვილსაც, მწერალ ზაზა თვარაძეს; ამგვარად მან თავისი შვილი კიდევ ერთხელ მიატყობა (ზაზა გახლდათ რევავ თვარაძის შვილი პირველი ქორწინებიდან და „კიდევ ერთხელ მიტოვებამი“ ნაგულისხმევი ნამდვილად სხვა ვერაფერი იქნება); ასევე განიხილავს ირაკლი აბაშიძე, რომლის წყალობითაც ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი გახდა (ისევე ოჯახური ინფორმაცია: ბ-ნი ირაკლი გახლდათ რევავ თვარაძის პირველი მეუღლის ბიძა); თვარაძის მთელი ინტერვიუ, „არის ეჭვი, რომ (...) ესაა გულუბრყვილო მცდელობა – შავი პიარის წყალობით მაინც მიიქციოს საზოგადოების ყურადღება“; ბ-ნი ტარიელს, როგორც თვითონ აღნიშნავს, უმძიმდა ამ რეპლიკის დაბეჭდვა, რადგან აღარც რევავ თვარაძეა ცოცხალი და აღარც ზაზა; ის დარწმუნებულია, რომ მათი (ბ-ნი რევის და მისი შვილის, ზაზას) გზები იქაც (აქაც ალბათ სხვა ვერაფერი იქნება ნაგულისხმევი, თუ არა მიღმა სამყარო, ზესთასოფელი) გაიყოფა; სტატიას, თუ რეპლიკას ბ-ნი ტარიელი ასრულებს ერთ-ერთი ჩვენთაგანისადმი მომართვით, თუ ჩავთვლით, რომ ის რაც მან თქვა, შეცდომაა, უყოყმანოდ წაიღებს უკან თავის სიტყვას.

სტატიის ფინალის წაკითხვის შემდეგ თავიდან ვიფიქრეთ, რომ ეს არის დაცინვა. ადამიანს ყოვლად უვარგისი მამა შეიძლება ჰყავდეს და, ბუნებრივია, ისიც კი ეყვარება და მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას არავის აპატიებს. ჩვენთვის სათაყვანებელი, წმინდა ადამიანის სახელის ტალახში ამოსვრა გინდათ და ჩვენ გვთხოვთ მოწონებას და თანხმობას? შემდეგ გაგვიჩნდა გრძნობა, რომ ვკითხულობთ გარკვეულ ამონარიდს აბსურდის დრამიდან. გვაქვს რამდენიმე შეკითხვა: რატომ ერევა ბ-ნი ტარიელი ჩვენი ოჯახის პირად საქმეებში? თინ ეკითხება მას, სად მოაწყო მამაჩვენი თავისმა ნათესავმა სამსახურში? საიდან იცის ბ-ნმა ტარიელმა რა დამოკიდებულება აქვთ მამაჩვენს და ჩვენს ძმას გარდაცვალების შემდეგ? თავს თუ დაენებებთ იმას, რომ ეს ისევე არ არის მისი

საქმე. რაკ კავშირშია მთელი ეს აბდა-უბდა იმ ფაქტთან, თუ ვინ არის ნამდვილი პოეტი და ვინ არაა XX საუკუნის საქართველოში? რაკ შუაში ვართ მთელ ამ ქაოსთან რევავ თვარაძის შვილები?

ზემოთაც ითქვა, აღნიშნული ინტერვიუ გამოქვეყნდა დაახლოებით სამ-ნახევარი წლის წინ. 2006 წელს რევავ თვარაძე გარდაიცვალა. საგაზეთო ინტერვიუ, როგორც წესი, უშუალოდ უკავშირდება კონკრეტულ სიტუაციას, კონკრეტულ ყოველდღიურ კონტექსტს, საიდანაც მისი ამოგლეჯვა არ არის სასურველი. ამიტომ, ისევე როგორც წესი, ამგვარი ტიპის პუბლიკაციებზე პასუხიც უშუალოდ ხდება. რადგან ერთი, ორი და ხუთი წლის შემდეგ წარსულ საგაზეთო პუბლიკაციებზე რეაგირება ელემენტარულად ადეკვატური არ არის. ბ-ნი ტარიელი აღნიშნავს, რომ იმ

# უსამართლო რეპლიკა

## პასუხად ბ-ნ ტარიელ ჭანტურიას

დროსვე დაწერა ეს რეპლიკა. მაგრამ ამჟამად გამოქვეყნებულ ჩანაწერებში არის უფრო ახალი შემადგენელი ნაწილებიც. 2007 წელს გარდაიცვალა ზაზა თვარაძე, რაც ასევე ასახულა დღეს გამოქვეყნებულ ჩანაწერში. გაუგებარია, იმ ყოვლად უწყინარი ინტერვიუს გამო ამგვარი წიგნით გაგრძელებული საოჯახო საგის შექმნა, შექსპირის, ედგარ პოს, თუ არ ვიცით კიდევ რომელი მწერლის ელფერით.

რაც შეეხება არსებით საკითხს, აქ ელემენტარულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. რადგან ბ-ნი ტარიელი მთლიანად კონტექსტიდან ამოგლეჯილად განიხილავს ინტერვიუს ფაქტობრივად მხოლოდ სათაურს: „გალაკტიონის და ანა კალანდაძის გარდა პოეტს არავის დავარქმევდი“. სათაური კი არ ეკუთვნის რევავ თვარაძეს. უცხოეთშიც და ჩვენთანაც მიღებული პრაქტიკაა, რომ ჟურნალისტები აკეთებენ რაც შეიძლება თვალში საცემ სათაურებს, რათა მკითხველის ყურადღება მიიპყრონ. ასე მოიქცა ის კონკრეტული ჟურნალისტიც იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი კონკრეტული ფრაზა დამახინჯებულად გაიტანა სათაურად, რის გამოც მამა მაშინ ძალიან შეწუხებული იყო. ეს გარემოება ბ-ნი ტარიელს, ცხადია, შეიძლება არ სცოდნოდა. მაგრამ უსამართლობა და ელემენტარული შეუსაბამობა, როდესაც მასთან მთლიანად არის უგულვებელყოფილი თვითონ ინტერვიუს ტექსტი და ზოგადი კონტექსტი. ინტერვიუს ტექსტში რევავ თვარაძის აღნიშნული ფრაზა შემდეგდაგვარად იკითხება: „მე რომ მკითხოს კაცმა, გალაკტიონს, ანა კალანდაძეს და ერთი-ორი კაცის გარდა კიდევ, პოეტს არავის დავარქმევდი“. ანუ აქ უკვე არ არის საუბარი არცერთ პოეტზე, არამედ კონკრეტული კონტექსტის მიხედვით იგულისხმება რამდენიმე პოეტი. გარდა ამისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ზოგადი კონტექსტი, რომელშიც თვითონ ეს ფრაზა უკვე მოთავსებულია.

ზოგადი კონტექსტი კი ის არის, რომ ინტერვიუ შეეხებოდა იმ დროს ორ მეტად აქტუალურ საკითხს, განათლებული ახალდაწყებულ რეფორმას და მწერალთა კავშირის ბედს. ყველას გვახსოვს რაკ ვნებათაღელვა იყო დაკავშირებული აღნიშნული საკითხების განხილვასთან. ინტერვიუს პირველი ნაწილი ეთმობა ქართული განათლების პრობლემებს, რასაც აქ აღარ შეეხებოდა. მეორე ნაწილში საუბარია მწერალთა კავშირთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კორესპონდენტი სვამს დაახლოებით შემდეგი შინაარსის მქონე შეკითხვებს: როგორ აფასებთ მარტინის 13-ში მიმდინარე პროცესებს? რამდენად გამართლებულად გეჩვენებათ მწერალთა კავშირის ლიტერატურულ სახლად გადაკეთება? რამდენად მართებულად მიგაჩნიათ დაპირისპირება ხელოვან ადამიანებს შორის? ლიტერატურულ სახლსაც ხომ დასჭირდება ხელმძღვანელი, რომელიც ორგანი-

ზატორობას გაუწევს ამა თუ იმ საქმეს? და ასე შემდეგ.

რევავ თვარაძის პასუხებს მოკლედ თუ ჩამოვყავალიბებთ, მათი შინაარსი შემდეგია:

ის მომხრეა მწერალთა კავშირის „ლიტერატურულ სახლად“ გადაკეთების, რომელიც იქნება ყველა მწერლის თავშესაფარი ადგილი; მწერალთა კავშირის ნევროზით არ უნდა განისაზღვრებოდეს, როგორც ადრე ხშირად ხდებოდა, არის თუ არა ადამიანი მწერალი; მწერალთა კავშირის რიგების მაქსიმიზირებად გაზრდის მცდელობა არ არის სასურველი; არ არის ბუნებრივი, რომ 4 მილიონიან ერს ჰყავდეს 600 მწერალი, რაკი ამდენი მწერალი ჩინეთს არ ჰყავს; დაკარგულია ნამდვილი და მედროვე მწერლის განმასხვავებელი კრიტერიუმები; მწერლობა და მისი სოციალური მდგომარეობა ერთმანეთისგან მკვე-

თრად გამიჯნული უნდა იყოს; გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი სოციალურად მოუწყობელნი იყვნენ; მხოლოდ მათ პირადულ გმირობაზე იყო დამოკიდებული, განაგრძობდნენ თუ არა მწერლობას; თუ კაცი მართლა მწერალია, ღამეებს გაათევს და წერას არაფერს მოაკლებს; ჭეშმარიტ მწერალს ბედისწერა არ მოასვენებს და ის მაინც დაწერს; მაგრამ თუ კაცს მწერლობა კარგი ცხოვრებისთვის უნდა, ის დრო წავიდა (ყოველივე ეს, ცხადია, არ გულისხმობს იმას, რომ მწერლები ბედის ანაბარა უნდა იყვნენ მიტოვებულნი, ან, თუ სახელმწიფოს საშუალება აქვს, მათ არ დაენებაროს); მწერალთა კავშირის თუ ლიტერატურული სახლის დირექტორი კურირებას უნდა უწევდეს მხოლოდ საორგანიზაციო საქმეს და არ უნდა განსაზღვრავდეს მწერლის სოციალურ მდგომარეობას.

ანუ, კორესპონდენტს აინტერესებდა როგორი უნდა იყოს მწერალთა კავშირის მრავალი ასეული წევრის მომავალი ორგანიზაციული გაერთიანების ფორმა. რევავ თვარაძე პასუხობს, რომ მწერალთა კავშირის წევრობა არ უნდა განსაზღვრავდეს იმას, მწერალია თუ არა ადამი-

ანი და სწორედ იმ ყბადაღებული 600 მწერლის თემის ერთგვარი განეიტრალების მცდელობაა, კორესპონდენტის კითხვაზე რეაქცია, ის კარგად ნაცნობი ფრაზა: „მე რომ მკითხოს კაცმა, გალაკტიონს, ანა კალანდაძეს და ერთი-ორი კაცის გარდა კიდევ, პოეტს არავის დავარქმევდი“. არ შეიძლება ამ ფრაზის კონტექსტის გარეშე განზოგადება. ეს ფრაზა უშუალოდ კონტექსტზეა მიბმული: იმ დროს მიმდინარე მოვლენები იქნება ეს კონტექსტი, თუ თვითონ ინტერვიუს, საუბრის აგებულების და წარმართვის კონკრეტული კონტექსტი. ამასთან, იქვე რევავ თვარაძე აგრძელებს: „მაგრამ ეს ჩემი სუბიექტური აზრია და არ არის კრიტერიუმი“.

აქედან მივდივართ შემდეგ მნიშვნელოვან საკითხთან. ვთქვათ, რევავ თვარაძემ მართლაც ის დაწერა, რის დაბრალებასაც მისთვის ცდილობს ბ-ნი ტარიელი. ამიტომ ადამიანი ანათემას უნდა გადაეცეთ, ამოვუქექეთ ათასი არსებულნი თუ არარსებული კომპრომატი, გავუხსენოთ მისი პირადი ცხოვრების დეტალები, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ იმ კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად? ყველაზე გულდასაწყვეტი აქ ის არის, რომ ეს შეცდომა მოსდის ინტელექტუალური პროფესიის ადამიანს. რაკ მოვთხოვთ მამინ პოლიტიკოსებს, ინტელექტუალური სფეროდან დამორეზულ ხალხს? სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი საზოგადოების საერთო კულტურული სურათის მაჩვენებელი. როდესაც ვერ ხდება სასაუბრო, თუ საკამათო საკითხის და პირადულის ერთმანეთისგან გამიჯვნა. ალბათ ამიტომაც არის, რომ ჩვენთან ვერ ხერხდება პრობლემებზე, იდეებზე

საუბარი და ლამის ყოველი დისკუსია პირადი შეურაცხყოფებით სრულდება. გაცვილებით მარტივი არ იქნებოდა, ბ-ნ ტარიელ ჭანტურიას პირდაპირ დაეწერა, რომ არ ეთანხმება რევავ თვარაძის ამა და ამ მოსაზრებას ამა და ამ მიზეზის გამო. ცოცხალ ლიტერატურულ ცხოვრებას ხომ სწორედ აზრთა მრავალმხრივი გაცვლა-გამოცვლა ქმნის და არა ნებისმიერი აზრის განადგურების მცდელობა.

ბ-ნი ტარიელ ჭანტურიას ჩანაწერები სრულდება წერილით, რომლის ადრესატია XX საუკუნის გამორჩეული ქართველი მწერალი და შემოქმედი, ბ-ნი თამაზ ჩხენკელი. მთლიანობაში, ერთ პუნქტს თუ არ ჩავთვლით, სადაც ბ-ნი ტარიელი ბ-ნი თამაზის პიროვნულ თვისებებზე საუბრობს, ეს წერილიც ისეთივე უსამართლოა, როგორც ზემოთ განხილული რეპლიკა. აქ

მხოლოდ ერთ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას. ბ-ნი თამაზს ერთ-ერთ ინტერვიუში აგრეთვე გამოთქმული აქვს გარკვეული მოსაზრებები გალაკტიონსა და XX საუკუნის ქართულ პოეზიასთან დაკავშირებით. ბ-ნი ტარიელი მიმართავს მას: „ამ ფრაზის თქმის მორალური უფლება არც შენა გაქვს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პირადად შენ მეოცე საუკუნის გამოჩენილ ქართველ პოეტებში არ იგულისხმები!“ არ კრიტიკიუმს იყენებს თვითონ ბ-ნი ტარიელი, როდესაც რომელიმე შემოქმედს აკუთვნებს ან არ აკუთვნებს XX საუკუნის „გამოჩენილ ქართველ პოეტებს“? ხოლო თუ ჩვენ მის ლიტერატურულ შეხედულებას არ ვეთანხმებით, რაკ ვენათ ეხლა, კომპრომატების ძებნა დავიწყეთ ბ-ნი ტარიელის პირადი ცხოვრებიდან?

ბოლოს მოკლედ შევეხებით რევავ თვარაძის მიმართ გამოთქმულ რამდენიმე ბრალდებას, რადგან მათი უპასუხოდ დატოვება არ არის სასურველი. რევავ თვარაძე ინტერვიუში არსად არ აცხადებს თავის თავს პროფესორად. რესპოდენტს წარადგენს თვითონ ჟურნალისტი. ახალგაზრდობაში გარკვეული გაუგებრობის გამო ის მცირე ხნით მართლაც აღმოჩნდა ეგრეთ წოდებულ ცეკა-ში (სხვათა შორის, თვითონ იხსენებდა მოგვიანებით პარადოქსს, რომ იქ მუშაობისას შტუდირებით დაამუშავა მთელი ბიბლია). მაგრამ: ცეკაში მცირე ხნით მუშაობა არ გამოუყენებია პარტიული, სამწერლო, ლიტერატურული თუ სამეცნიერო კარიერის გასაკეთებლად; იქ ყოფნისას (და მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში) პრინციპების ლალატის სანაცვლოდ არ უნახავს არავითარი მატერიალური სარგებელი, არ მიუღია ბინები, მანქანები, ავარაკები და ასე შემდეგ. არ იქნება ეს შვილების სუბიექტივიზმი თუ ვიტყვი, რომ რევავ თვარაძე იყო ერთი იმ მცირედთაგანი, ვინც კომუნისტური რეჟიმის რთულ პირობებში პირად ცხოვრებაშიც და საზოგადო მოღვაწეობის ჟამსაც მუდამ მისდევდა ქრისტიანულ ზნეობას და ქრისტიანულ იდეალებს. რაც შეეხება იმ ორ ბრალდებას, რომ ხელმოცარულობის გამო აცხადებს გალაკტიონს დიდ მწერლად და შავი პიარის გამო მისცა ეს ინტერვიუ, ვინც მას იცნობდა, მისთვის ეს მართლაც კომიკური და არასერიოზული იქნება. რაკ „შავი პიარზე“ ლაპარაკი და, საერთოდ, რაკ შუაშია ეს ტერმინი ლიტერატურის მცოდნეობაში? ზემოთქმულს მოკლედ თუ გავიმეორებთ, რევავ თვარაძე გახლდათ სწორედ ქრისტიანული თავმდაბლობის და ქრისტიანული მოკრძალებულობის ნიმუში. დასასრულ, ჩვენი ასევე მოკრძალებული და უმორჩილესი თხოვნა იქნება, ნუ აწუხებთ მამაჩვენის ნათელ სახელს და, თუ შეიძლება, ჩვენს გარეშე გაარკვიეთ ვინ არის პოეტი და ვინ არაა XX საუკუნის საქართველოში.

ცოტნე თვარაძე  
სანდრო თვარაძე



# დასრულდა გალახბიონ ტაბიძის

## იზა ორჯონიკიძე:

არც კი მჯერა, რომ გავასრულეთ გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის ბეჭდვა. სრული შვიდი წელია მას შემდეგ, რაც ამ საქმეს შევეჭიდეთ და როგორც იქნა, დავადგით თავი.

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდსაცავში არ მოიძებნება უფრო დიდი და მომეტებულად რთული არქივი, ვიდრე გალაკტიონისაა, მაგრამ გამოცემაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ლამის დღე და ღამე გაასწორეს, ყველა სიძნელე და წინაღობა დავძლიეთ, მაგრამ მთავარი მაინც გამოცემის მატერიალური უზრუნველყოფა გახლდათ...

პირველი ბატონი გია ჯობთაბერიძე ამოგვიდგა მხარში. მან დააფინანსა ოცდახუთივე წიგნის მოსამზადებელი სამუშაოები (ანყოფა, პირველადი დაკაბადონება). შემდეგ ქალაქის ყოფილი მერი — ბატონი ზურაბ ჭიაბერაშვილი გაისარჯა და ცამეტი წიგნი ქალაქის მერიამ დააფინანსა. ბოლო თორმეტი წიგნის სასტამბო ხარჯები კულტურის სამინისტრომ (ბატონმა ნიკა ვაჩიშვილმა) გაიღო. თავად შევადგინე გალაკტიონის რჩეულიც, რომელიც ბატონი მამუკა ხაზარაძისა და ქალბატონი ჯუნა დემეტრაშვილის შემეობით დავცამბეთ.

თავს უფლებას მივცემ და წიგნიერი საზოგადოების სახელით დიდ მადლობას მოვასხენებ ყველას, ვინც ჩვენს უანგარო შრომას ხორცი შეასხა და მხარი აგვიბა ამ ჭეშმარიტად უპრეცედენტო გამოცემის განხორციელების საქმეში.






მადლობა მინდა გადავუხადო ოცდახუთი წიგნიერის კონსულტანტებს — ბატონებს ვახტანგ ჯავახიძეს და თეიმურაზ დოიაშვილს. მათაც სრულიად უანგაროდ და ნაყოფიერად იშრომეს საიმისოდ, რომ საარქივო მასალა სრულყოფილად წარგვედგინა მკითხველი საზოგადოებისათვის. დიდი მადლობა შპს „ფორმის“ ხელმძღვანელობას (ბატონ გურამ ტყეშელაშვილს), რომელმაც, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა ტომეულის სათანადოდ დასაბეჭდად. მადლობა ეკუთვნის მხატვარ ცოტნე მამულაშვილსაც.

მადლობის სიტყვები არ მინდა დავიშურო ამ წიგნების ყველასგან გამორჩეული ამგადარის, მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილის — ქალბატონი თეა თვალავაძის და მისი უშუალო ხელმძღვანელობით ამ წიგნების გამოსაცემად მომზადებლების, ქალბატონების — ნანა კობალაძისა, მარინე ყიფიანისა და ჩვენი მუზეუმის ფოტოლაბორატორიის თავკაცის, ნამდვილი ფოტოხელოვანის ბატონ მირიან კილაძის მიმართაც.

არ შეიძლება, მადლობა არ ვუთხრათ ქალბატონ ფატი გაგულიას, რომელმაც გადააკაბაონა ყველა ტომი და თვალები ჩაინყალა ნაირ-ნაირი შრიფტების მონაცვლეობისას.

დაბოლოს, მიხარია და მეამაყება, რომ ავიხირო, წამოვიწყე და გავასრულე დიდი საქმე, თუნდაც მაგალითის მისაცემად იმათთვის, ვინც ერთ დღესაც ჩვენს ადგილას აღმოჩნდება, ვინც დაიცავს და უპატრონებს დიდთა და მცირეთა დანატოვარს, ვისაც ეცოდინება, რომ უნარსულოდ, უწინაპროდ არც ანმყო არსებობს და არც მომავალი.

მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო გალაკტიონ ტაბიძის სრული საარქივო გამოცემის წიგნის თაროებზე გამოჩენა და ვურჩიო ყველას: ნახეთ, ნაიკითხეთ და თქვენ ჭეშმარიტად უცნობ გალაკტიონს შეხვდებით!







# მონატრეხული დღეები

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი მოვლენა ქალაქის ცხოვრებაში — თბილისის წიგნის ყოველწლიური XI ფესტივალი დასრულდა. 25-28 ივნისს, ფესტივალის მიმდინარეობის დღეებში, თბილისის საგამოფენო ცენტრმა უამრავ ადამიანს უმასპინძლა. ფესტივალის ორგანიზატორმა — წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძველთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიისა და რადიო მუზას მხარდაჭერით, წიგნის ნამდვილი დღესასწაული გამართა და მკითხველი ლიტერატურის მიმზიდველ და გასაოცარ სამყაროში მოაქცია. ყოველი დღე ლიტერატურული სიახლეებით, პრეზენტაციებითა და დაჯილდოვებებით იყო გაჯერებული. მკითხველები საყვარელ მწერლებს ხვდებოდნენ, ახალ ავტორებს ეცნობოდნენ... ფესტივალის ოთხი დღე თითქოს არც კმაროდა იმისთვის, რომ აქ წარმოდგენილი ყველა წიგნი გენახა, აღგვევა, ან „შენი აღმოჩენა“ გაგვეკეთებინა.



წლიდანწლი ფესტივალს გამომცემლობა „სიესტას“ დირექტორი ქეთევან კილურაძე თავმჯდომარეობდა.

ფესტივალის გახსნას თბილისის მერი გივი უგულავა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, მწერალი ზაალ სამადაშვილი დაესწრნენ.

ჩვენც არაერთ გამომცემელსა თუ ავტორს გავესაუბრეთ:

**ქეთევან კილურაძე, გამომცემლობა „სიესტას“ დირექტორი, ფესტივალის თავმჯდომარე:**

— წიგნის ფესტივალი უკვე ტრადიციად იქცა. წელს მასში მონაწილეობა სამოცდაერთმა ქართულმა გამომცემლობამ მიიღო. ამათგან, ბევრია ისეთი, რომლისთვისაც ეს პირველი ფესტივალია. მონაწილეთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ვცდილობთ, ფესტივალის ორგანიზების დეტალები უფრო მეტად დავხვეწოთ, თანამედროვე ფორმებით გავამდიდროთ. წელს, როგორც ხედავთ, დარბაზში არასტანდარტული სტენდები განლაგებული იმედი გვაქვს, მომავალში, ფესტივალში მონაწილე ყველა გამომცემლობა შეძლებს საკუთარი პროდუქცია ამგვარ პერსონალურ სტენდებზე წარმოადგინოს. სურვილი გვაქვს თანდათან საერთაშორისო სტანდარტებს მივუახლოვდეთ.

**გია დარსალია, წიგნის მაღაზიათა ქსელის — „პარნასის“ ხელძღვანელი:**

— ფესტივალზე „პარნასს“, ძირითადად, ამერიკიდან, ინგლისიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული ლიტერატურა აქვს გამოტანილი. ასევე, წარმოდგენილია იმ გამომცემლობების წიგნები, რომლებიც ფესტივალში მონაწილეობას არ იღებენ. ესენი არიან პატარა-პატარა გამომცემლობები, ხშირ შემთხვევაში ინდემწარმეები, ან ცალკეული ავტორები, რომლებსაც არ აქვთ საშუალება თავიანთი წიგნებისთვის ცალკე სტენდი აიღონ. ამიტომ, მათი გამომცემები ჩვენ გამოვიტანეთ.

რაც შეეხება „პარნასის“ მიერ ფესტივალზე წარმოდგენილ უცხოურ ლიტერატურას, პირველ რიგში, აღსანიშნავია ნაირ-ნაირი ალბომები მხატვრობაზე, დიზაინზე, არქიტექტურასა თუ ავტომობილებზე... ძალიან საინტერესოა, ჯაზისა და ბლუზის ენციკლოპედიები. მკითხველს, უცხოურ მხატვრულ პროზასაც ვთავაზობთ. სამწუხაროდ, „ჩამოსვლა“ დაავიანა რუსულენოვანმა ლიტერატურამ, თუმცა, მალე ეს წიგნები ჩვენს მაღაზიებში გაიყიდება. ფესტივალთან უშუალო კავშირში არ არის, მაგრამ გეტყვით, რომ „პარნასი“ ძალიან აქტიურად მუშაობს შეკვეთებზეც — მომხმარებელს აკადემიური ლიტერატურა ოპერატიულად და ხელმისაწვდომ ფასებში შეგვიძლია მივანოდოთ.

მნიშვნელოვანია, რომ წიგნის ფესტივალი რეგულარულად იმართება და იგი გამომცემლების, წიგნის გამავრცელებლების, წიგნის მაღაზიების, ავტორების შეკრების ადგილად იქცევა ხოლმე. ხოლო მკითხველი თუ უბრალოდ დამთვალიერებელი, ფესტივალის მიმდინარეობის დღეებში, წიგნის სექტორში არსებულ სიახლეებსა



თუ ძველ გამოცემებს სრულად გაცნობა.

**ლაშა ბერაია, „ლოგოსპრესის“ დამფუძნებელი და დირექტორი:**

— ფესტივალი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ყოველ წელს ახსენებს საზოგადოებას, რომ წიგნი ერთ-ერთი ძირითადი კულტურული ფასეულობაა. აქ არის საშუალება, გამომცემლებმა თავიანთი ახალი პროდუქცია წარმოადგინონ, გაყიდონ. ამავე დროს, ფესტივალი ის ადგილია. სადაც გამომცემლებს შორის, გამომცემლებსა და ავტორებს შორის, გამომცემლებსა და მთარგმნელებს შორის, სხვადასხვა ბიზნეს-გარიგებები წარმოებს. შარშანდელ წიგნის ფესტივალზე რამდენიმე უცხოელი გამომცემელიც ჩამოვიდა, მათთან საქმიან ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა. იმედი გვაქვს, მომავალში ფესტივალი ნამდვილად საერთაშორისო ხასიათს შეიძენს და შინაარსობრივადაც უფრო მრავალფეროვანი გახდება. წიგნების გამოფენა-გაყიდვის, პრეზენტაციებისა თუ პრემიების გადაცემის გარდა, იგი — როგორც დასავლეთის ქვეყნებში გამართულ წიგნის ფესტივალზე — საავტორო უფლებების გაყიდვის ადგილადაც იქცევა. ცხადია, ქართველი გამომცემლები საკუთარი



პროდუქციის უფლებების გაყიდვით — თავიანთი წიგნების უცხო ენებზე თარგმნითა და სხვა ქვეყნებში გამოცემით არიან დაინტერესებულნი. ამ შემთხვევაში, ძირითადად, მხატვრულ ლიტერატურას ვგულისხმობ. ჯერჯერობით, საქართველოში ცოტაა ამგვარი ურთიერთობის მაგალითი. ეს საქმე აუცილებლად უნდა დაიდრას, გარღვევა უნდა მოხდეს. ბოლო წლებში, უცხოურ პროზაზე საავტორო უფლების დაცვის მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. მაგალითად, წელს, თბილისში, „კოპირაითთან“ დაკავშირებით სემინარი ჩატარდა, რომელსაც ამ საქმის ბრიტანელი სპეციალისტი უძღვებოდა. სემინარი ფასიანი იყო. სხვათაშორის, ისინი მონაწილეობა ბევრმა გამომცემელმა მიიღო. ისინი გათვითცნობიერდნენ საკითხებში, რომელიც საავტორო უფლებების დაცვას უკავშირდება. უკვე ბევრს ესმის, რომ

გამოცემით, გამონაკლისი, მამაჩემის, ჯემალ ქარჩხაძის წიგნებია.

წლებიანდელ ფესტივალზე ასეთი სტრუქტურული სიახლე გვაქვს — „წიგნის კლუბი“ ჩამოვყალიბეთ და გავხსენით, მასში გაერთიანება ნებისმიერ მკითხველს შეუძლია. კლუბის წევრები, ჩვენი გამომცემლობის პროდუქციაზე, მუდმივი ოცპროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლებენ. უკვე არაერთი ადამიანი განვერიანდა.

ფესტივალის ძალიან მნიშვნელოვანია. წიგნის ინდუსტრიაში ეს ცენტრალური მოვლენაა. წელსაც კარგად ანეყო, ბევრი ხალხი მოვიდა, ყველაფერი რიგზეა.

**მაია მალაციძე, გამომცემლობა „ტრიასის“ მთავარი რედაქტორი:**

— გამომცემლობა ანხორციელებს პროექტს, რომლის მიზანია საზოგადოებისთვის ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერლების გაცნობა. გარდა ამისა, უკვე ცნობილი ავტორების ნაწარმოებებსაც გამოვცემთ. „წიგნის სიყვარული“ — ეს ჩვენი სლოგანია. წლებიანდელ ფესტივალზე ერთი ახალი წიგნით წარვსდექით, ეს გახლავთ ახალგაზრდა მწერლების — დათო აბულაძისა და ეკა ჭყაღუას რომანი „გაფრენილი ჩიტი“. მას ყველა „გაფრენილ“, რომანტიკულ, ნიჭიერ ახალგაზრდას ვთავაზობთ. არაჩვეულებრივი რომანია.

**ბესო ხვედელიძე, მწერალი:**

— თბილისის წიგნის ფესტივალში, თუ სწორად მახსოვს, მეათედ ვმონაწილეობ. აქ, ჩემი ათივე წიგნი სხვადასხვა გამომცემლობების მიერ არის წარმოდგენილი. ამთვან ერთი ახალია. ეს გახლავთ მოთხრობების კრებული, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა. წიგნში — „თავის გემო“ — ბოლო პერიოდში დაწერილი ჩვიდმეტი მოთხრობა გაერთიანდა, აქამდე ისინი მხოლოდ პერიოდიკაში იბეჭდებოდა.

ფესტივალის ორგანიზატორი რომ ვიყო, მას სეზონურად გავმართავდი. წელიწადში ერთხელ — მეცოცხვება. გარდა ამისა, ბევრი ვერ ახერხებს მოსვლას, ფესტივალის 12-დან 6 საათამდე გრძელდება, ხოლო მათი დიდი ნაწილი, ვისაც წიგნი აინტერესებს, ამ დროს სამსახურშია და 7 საათამდე ვერ თავისუფლდება. შესაბამისად, მათთვის ეს ფესტივალის არ არსებობს. ბევრმა ჩემმა მეგობარმა თანხა გამომატანა, რომ წიგნები ვუყიდო. ევროპაში, სხვადასხვა ფესტივალსა და წიგნის ბაზრობებს დავსწრებივარ, იქ ეს საკითხი მოგვარებულია, ითავლისწინებენ, რომ ხალხი მუშაობს და ღონისძიებას შუალაშემს იწყებენ. ვენაში, სტამბოლში, მინსკა თუ ტაშკენტში ფესტივალები დილადად გრძელდება, კაფეებია, უკრავენ... ადამიანს შეუძლია მთელი ღამე იქ გაატაროს, წიგნები დაათვალიეროს, შეიძინოს, დაისვენოს... წიგნის ლაბირინთებში მოგზაურობა გავაგრძელებთ...

**„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“** სტენდებსა და დახლებზე განლაგებული კარგად გაფორმებული და ძალიან შთამბეჭდავი წიგნების სახით, როგორც ყოველთვის, მკითხველს, მდიდარ არჩევანს სთავაზობდა. გამომცემლობის საფირმო მაისურებში გამოწყობილმა კონსულტანტებმა „ფესტივალიდან ფესტივალამდე“ გამოცემული წიგნების კატალოგი გამოგვინოდეს, რომელშიც საბავშვო თუ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, ქართული თუ უცხოური თანამედროვე პროზა და სხვა უამრავი სიახლე იყო წარმოდგენილი. კატალოგის გარეკანზე გამოტანილი შემოთავაზებები — და სიახლეების მრავალფეროვნებამ — სხვადასხვაგვარმა ფასდაკლებამ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურაზე, მზარდმა შეღავათებმა ერთგული მკითხველისათვის, ათპროცენტიანმა საიუბილეო ფასდაკლებამ, პატარებისთვის განკუთვნილმა აქციამ თუ მხიარულმა ლატარეამ — დავაბნინა და ამავედროულად გაგვიჩინა სურვილი, ყველა შემოთავაზება ერთდროულად მიგველო...

ფესტივალის ოთხივე დღეს საგამოფენო სივრცეში ხალხმრავლობა იყო...



წიგნის ავტორთან თუ საავტორო უფლების მფლობელთან შეუთანხმებლად, წიგნის თარგმნა და გამოცემა ბაზარზე კონფლიქტს წარმოშობს. შეიძლება ერთმა გამომცემელმა გამოცემის უფლება მოიპოვოს, მაგრამ აღმოჩნდეს, რომ სხვას, იგივე წიგნი არალეგალურად უკვე გამოცემული აქვს. ეს ბაზარს მნიშვნელოვნად აზიანებს.

რაც შეეხება ჩვენს გამომცემლობას, წლებიანდელ ფესტივალზე საბავშვო და სასაჩუქრე წიგნების ახალი სერიები წარმოვადგინეთ. ვთანამშრომლობთ რამდენიმე უცხოურ გამომცემლობასთან ინგლისსა და ესპანეთში. სექტემბრისთვის, ცხრა ახალი საინტერესო საბავშვო და სასაჩუქრე წიგნი ველით. სიახლეა ისიც, რომ რამდენიმე ახალი მნიშვნელოვანი სასკოლო სახელმძღვანელო გამოვეცით, სახელმძღვანელოები — ჩვენი ერთ-ერთი მიმართულებაა. თუმცა, ფესტივალზე ეს მხარე წარმოდგენილი არ არის, მას სხვა ბაზარი აქვს.

**გია ქარჩხაძე, „გია ქარჩხაძის გამომცემლობის“ დამფუძნებელი და დირექტორი:**

— აქ საბავშვო ლიტერატურითა და პროზით ვართ წარმოდგენილი. ძირითადად, საბავშვო ლიტერატურას



მკითხველი

ლევან ნულაძე:

# „რამდენიმე წელიწადში ჩვენი კლდიაშვილები გვაცოლებს“



ბატონო ლევან, როცა თეატრის რეჟისორი ამა თუ იმ პიესას სცენაზე ანხორციელებს, შეიძლება ითქვას, მწერლის თანავეტორი ხდება. მწერალსა და რეჟისორს შორის ამგვარ ურთიერთობაზე ვისაუბროთ...

— უკანასკნელ წლებში, რეჟისორის ფუნქცია ავტორისას გაუტოლდა. თუმცა არსებობს იმგვარი რეჟისორები, რომელიც ავტორში ერთიანად იფლანტება, ქრება. ქართული თეატრი კი გაცილებით აგრესიულია. სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტა აქ უფრო აქტიურია, უფრო თამამია. რეჟისორულ ინტერპრეტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს, ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტიც.

— თქვენ, როგორც რეჟისორი, რამდენად თამამი ხართ პიესების ავტორებთან?

— პირადად მე, ამ საკითხში ძალიან ვცოდვარ. ავტორების ტექსტებს, შეიძლება ითვას, ფამილარულად ვექცევით. თუ თანამედროვე ავტორია — ნანარმოებში ნაკლებად ვერევი. ძველ ავტორებთან კი, უფრო თამამი ვარ — ისინი ცოცხლები აღარ არიან და არ ეწყინებათ. როცა ადამიანი რეჟისორს ეუფლება, პირველ რიგში, ავტორის „გარკვევას“ სწავლობს. ეს მისი სანყისი ამოცანაა, რეჟისორის პირველი გაკვეთილია. მან ზედმინებით უნდა შეისწავლოს ავტორი, ჩანდეს მის ჩანაფიქრს და ზუსტად იგრძნოს, თუ რისი თქმა სურდა იმ კონკრეტულ ნანარმოებში. საკუთარი ვერსიის ჩამოყალიბება მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია. მხატვრობაშიც იგივეა. მუხუშემში ალბათ შეხვედრისხარტ ახალგაზრდა მხატვრებს, რომლებიც ცნობილი ორიგინალების წინ დგანან და მათ გადმოხატვას ცდილობენ, ზუსტ ასლებს აკეთებენ, ფიგურის აგებას უფლებიან. შესაძლოა, შემდეგ ფიგურას აღარასოდეს მიუბრუნდნენ და აბსტრაქცია აირჩიონ, მაგრამ ამისთვის ხატვის საფუძვლების ცოდნა დასჭირდება. ხატვას პირდაპირ აბსტრაქციით, კუბიზმით ხომ ვერ დაიწყებ, ჯერ ყველა აუცილებელი საფეხური უნდა გაიარო. ასევეა რეჟისორიც — ავტორი ზედმინებით უნდა შეისწავლო, რომ შემდეგ, ინტერპრეტაციის უფლება მოიპოვო, პირველ რიგში — საკუთარ თავთან.

ძალიან ხშირად პიესას სხვადასხვა სცენას ვამატებ, მაგრამ ვცდილობ ავტორისეულ ჟანრს, მის ხელწერას მივუსადაგო. როცა ჩამატებული სცენა ავტორის გრძნობათა ბუნებაში „ჯდება“ — სპექტაკლს ხელს არ უშლის და მყარებელიც ამ ცვლილებებს თითქმის ვერ ამჩნევს. თუმცა ხშირად არ გამოდის და ტექსტს „ჩარევა“ ეტყობა ხოლმე.

ერთხელ გოგოლის „ცხვირს“ ვდგამ-



სცენა სპექტაკლიდან „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“

ლევან ნულაძემ თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა. სამსახიობო ფაკულტეტზე რეჟისორ გიზო ჟორდანიას ჯგუფში სწავლობდა. მეოთხე კურსიდან რეჟისორობა არჩია და მიხეილ თუმანიშვილის სახელოსნოში გადავიდა. მუშაობდა ბევრგან — თბილისის კინოსახიობთა თეატრში, რუსულ მოზარდმაყურებელში, დგამდა სპექტაკლებს რუსთაველისა და არაერთი სხვა თეატრის სცენაზე. მოგვიანებით, მეგობრებთან ერთად შექმნა „თეატრალური სარდაფი“, ახლა — თბილისის კოლე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

საკუთარ თავს „გლახა მკითხველს“ უწოდებს, თუმცა მისი სამუშაო მაგიდას სავსეა ინტერნეტიდან ამოებჭდილი მრავალფეროვანი ლიტერატურით, რომელიც ახალ სპექტაკლებზე სამუშაოდ სჭირდება. ამ გარემოში ლიტერატურა თეატრს უკავშირდება, თეატრი — ლიტერატურას.

დი. მასში სამი ნოველა — „ცხვირი“, „პორტრეტი“ და „ნების პროსპექტი“ გავაერთიანეთ. მოქმედება XX საუკუნის დასაწყისში გადმოვიტანეთ და თავისთავად, ამან რალაც-რალაცები შეცვალა. ვნერვიულობდი, გოგოლისტები რას იტყვიან-მეთქი, მაგრამ მათ ცვლილებების შესახებ არაფერი უთქვამთ. ჩათვალეს, ეს ალბათ ავტორისაა და ჩვენ არ გვახსოვსო.

თუმცა ახალგაზრდობაში, ბიუნხერის „ვოლცევი“ დაეღვი, რალაცები ამაყად ჩავამატე, მაგრამ პიესამ ვერ გაუძლო, დაინგრა, ბიუნხერისეული ასკეტიზმი დაკარგა და „ლაქაქა“ სპექტაკლი გამოვიდა. სხვა საკითხია — კარგი თუ ცუდი, მაგრამ სხვა სპექტაკლი მივიღეთ. ავტორისადმი ჩემი უდიერი მოპყრობის გამო მოხდა ასე.

— თანამედროვე თეატრის მყარებელი, ხშირ შემთხვევაში, სპექტაკლზე მოუშვადებელი მიდის. იმას ვგულისხმობ, რომ უმრავლესობა პიესას არ იცნობს. თუმცა, ზოგს, მისი წაკითხვის სურვილი სპექტაკლის ნახვის შემდეგ უჩნდება.

— სამწუხაროდ, დარბაზში ასეთი უმრავლესობაა. პიესის არცოდნა მყარებელს ძალიან უშლის ხელს სპექტაკლის აღქმაში. დაეუშვათ თამაშდება შექსპირის პიესა, რომელიც ზოგიერთ ცნობილ ფრანკს მსახიობები განსხვავებულად წარმოთქვამენ, მყარებელი, რომელსაც პიესა არ ნაუკითხავს, სპექტაკლის არსს, რეჟისორულ გადაწყვეტას ვერ მიხვდება, ცვლილებას პირდაპირ მიიღებს და იფიქრებს, რომ, სიტყვაზე, ჰამლეტი ზესტაფონში ცხოვრობდა და არა დანიამი — ხომ შეიძლება რეჟისორმა გააქართულოს პიესა, არა?

ადრე, ჩემი მოშობები, პრემიერის წინ პიესას ყოველთვის კითხულობდნენ და მეც მაკითხებდნენ. თეატრში მერე მივიღიდი. მაშინ, სპექტაკლი გაცილებით საინტერესო ხდებოდა. წარმოიდგინეთ, დაიდგა რობერტ სტურუას არაჩვეულებრივი სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“! ჩემი ბავშვობის, მთელი ჩემი თაობის, ალბათ, ყველაზე ნათელი მოგონება, ბრწყინვალე მოგონება! ნაკითხვებზე ბრეტის პიესა, რომელიც „სამინლად“ იწყება: ორი კოლმეურნეობა სოციალისტური შეჯიბრისთვის ემზადება, ერთმანეთს სასაპარეზოდ იწვევენ... ახლა, ჩაის კრფაცა და აბრეშუმის ჭიის გამოყვანაც როგორ შეგვძლება, რა კარგები ვყოფილვართ, მოდი, ახლა, ერთმანეთს ხელოვნებაში შევეჯიბროთ!... „სამინელი“ პროლოგია. როცა პატარა ხარ და ამას კითხულობ, იბნევი. არ გესმის, რომ პიესის ასეთ დასაწყისს ყურადღება არ უნდა მიაქციო, რადგან ეს იმდროინდელი კომუნისტური რეჟიმისთვის გადახდილი ხარკია, ეს ასე უნდა იყოს... მაგრამ შემდეგ, მიდის არაჩვეულებრივ სპექტაკლზე და ხედები, რამდენად დიდია თეატრი და როგორ შეუძლია მას სიტყვის გაცოცხლება. შესაძლოა ის ვერ შეეძაროს ადამიანის ფანტაზიას, რადგან წიგნის კითხვისას მეტი „ხილვები“ მოდის, მაგრამ თუ თეატრმა ადამიანის ლიტერატურულ წარმოსახვებს აჯობა და მოულოდნელად, ისეთი რამ შესთავაზა, რასაც მკითხველი ვერ წარმოიდგენდა — მაშინ მისთვის თეატრი დაუფინყარი, საინტერესო და სასარგებლო ხდება.

— თეატრის მთელი ხიბლიც, ალბათ, ამაშია...

— ესაა თეატრი. გარდა მორალისტური და ჰუმანური ფუნქციებისა, ის მყარებელში ზრდის მთავარს — ადამიანი ხდება, რომ სამყარო ერთგვაროვანი არ არის და ერთი ადამიანის დაწერილი თუ

ნაფიქრი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს აღქმული. თუ ნაკითხვით ჰიტლერის გამოსვლებს გერმანელი ერის მიმართ, არაჩვეულებრივი ეროვნული ტექსტია, იარაღის აღება და სამშობლოს დაცვა გინდება, მაგრამ... ეს ჰიტლერის სიტყვებია. აბა, იგივე ტექსტი რომელიმე ლიბერალმა წარმოთქვას — სულ სხვაგვარად გაიფიქრებს. როცა ადამიანი თეატრში მოდის, ის ხვდება, რომ სიტყვის ამოკითხვა, ან მოსმენა არ კმარა, სიტყვასთან ერთად სიტუაცია, ხასიათი უნდა გააანალიზო. ასეთი მკითხველი თუ მყარებელი უფრო მეტს ფიქრობს, უკეთ იგებს, ნაკლებად რადიკალურია. ასეთი აზროვნება მას პირად ცხოვრებაშიც ეხმარება, საკუთარ თავშიც ბევრ რამეს არკვევს. იმას არ ვამბობ, რომ რასაც სპექტაკლში ნახავს, პირდაპირ ცოლზე ან სიდედრზე გადაიტანს-მეთქი, მაგრამ ქვეშეცნეულად ხომ გარკვეულ დასკვნებს გააკეთებს.

— დარბაზში იმ მყარებელთა სიმრავლე, რომლებსთვისაც ცნობილი კლასიკოსების პიესებიც კი უცნობია, ალბათ, ზოგადად მკითხველის დეფიციტის ანარეკლია.

— საერთოდ წიგნის მიმართა ამგვარი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ეს სამწუხაროა, მაგრამ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში ძალიან ბევრი სიახლე გაჩნდა. ჩემი ბავშვობა მახსენდება, შაბათობით ქართულ სატელევიზიო არხზე გადიოდა პროგრამა „ილუზიონი“, სადაც ფილმებს უჩვენებდნენ, ასეთივე იყო პროგრამა „კინოკომედია“, რომელსაც რუსეთის ტელევიზია კვირამი ერთხელ, ან ორჯერ გვთავაზობდა. ამით ვცხოვრობდით, ეს უზარმაზარი მოვლენა იყო. ნებისმიერ პრემიერის ნახვა, გონებაში სამუდამოდ იღებოდა. ახლა? რვა სატელევიზიო არხი მაქვს, სადაც მხოლოდ ფილმებს უჩვენებენ, მათ შორის საკმაოდ კარგსაც. ყველაფერის ნახვას შეუძლებელიც კია. აღარაფერს ვამბობ ინტერნეტზე, რომლის საშუალებითაც შეგიძლია ყველაფერი ნახო, ყველაფერი ნაკითხო რაც გსურს. სიტყვაზე, თუ აკრიფავ „ვეფხისტყაოსანს“, თხუთმეტ წუთში პოემის მოკლე შინაარსს შემოგთავაზებს. ეს დროის მოტანილია, ეს არის ცოდნის ადაპტირებული, სუროგატული მიღება.

სკოლაში, საკარტველოს ისტორიას ძალიან შემოკლებულად გვასწავლიდნენ. ჩემი სასკოლო განათლების მთავარ ხინჯად, სწორედ ისტორიის არცოდნას ვთვლიდი. ერთხელაც, იმავე საგანში ჩემი ქალიშვილის სახელმძღვანელო დავინახე და კითხვა დავინყე... ძალიან თხელი წიგნი იყო — ჩემი ქვეყნის ისტორია ერთ საათში უკვე ნაკითხული მქონდა. ბავშვობის-დროინდელი წიგნი გამახსენდა, იქ გაცილებით მეტი ეწერა, ვიდრე ამ ახალ სახელმძღვანელოში. ეს ჩვენი დროის სურათია. ახლა სხვა რიტმია, სხვა ცხოვრებაა. ალბათ ამიტომ, ეს ყველაფერი ბუნებრივია. მტკიცეული და ბუნებრივია. ხომ გახსოვთ, ერთ-ერთი ფარაონის წერილი რომ აღმოაჩინეს, სადაც მომავალ თაობაზე წერდა: რა უწინგურები არიან, მოშობებს არ უჯერებენ, სწავლა ეზარებათ, მხოლოდ გართობაზე ფიქრობენ. საით მივქანება სამყარო, ეს ალბათ დასასრულიაო. ფარაონი ამ წერილს სამი ათასი წლის წინ წერდა. მას შემდეგ, მგონი, არაფერი შეცვლილა.

— საინტერესოა, როგორ ადამიანს უწოდებდნენ მაშინ უწინგურს, ან განათლებულად როგორი კაცი მიაჩნდათ? შეფასების დღევანდელი კრიტერიუმები ძველისგან, ალბათ, ძალიან განსხვავებულია.



— საერთოდ, განათლება ცოცხალი სხვა ცნებაა, ვიდრე ზოგჯერ გვგონია ხოლმე. როცა კაცი ბევრს კითხულობს, თავი განათლებული ჰგონია. სინამდვილეში ასე არ არის. შეიძლება ვიღაც უამრავ ბულვარულ რომანს კითხულობდეს — რუსეთში ყველა პარიკმახერი ქალი რომანების კითხვაზე გიჟდება — მაგრამ ამით განათლებას ვერ იღებს; ზოგიერთი ფილოსოფიურ ლიტერატურას ამჯობინებს, მაგრამ შიგ რა წერია, ვერ ხვდება, იმიტომ რომ განათლება მხოლოდ წიგნის კითხვას, მხოლოდ ლიტერატურის კითხვას არ ნიშნავს. ეს ცოდნათა ერთიანი კომპლექტია, რომელიც ადამიანმა, სკოლიდან მოყოლებული, თანდათანობით უნდა მიიღოს. თუ მათემატიკა, ან ფიზიკის რამდენიმე კანონი მაინც არ იცი, ესე იგი ლოგიკური აზროვნება არ გაქვს, ამიტომ, ვერასოდეს გაიგებ გერმანულ ფილოსოფიას, ვერც ანტიკურს. ხოლო, თუ ფილოსოფია არ იცი, ამა თუ იმ ლიტერატურაში გარკვევა გაგიჭირდება. მაგალითად, ბოლო დროს, ფსიქოლოგიური ლიტერატურა მომრავლდა, მის გასაგებად სხვადასხვა ცოდნას უნდა ფლობდე. ეს „ცოდნები“ სკოლაში უნდა მოგცეს, მთლიანობაში უნდა განვითარდე. თუ სადაღაც მორეულ კონსულტზე ხარ და სკოლა არ გაქვს — ვინმე ჭკვიანი კაცი უნდა დაგეხმაროს. ხშირად ხდება, რომ ადამიანი გარკვეულ სტრესულ მდგომარეობაში მიდის, რადგან გვიან იგებს იმას, რაც ადრეულ ასაკში უნდა გაეგო. მაგალითად, ოცდაათი წლის ასაკში ეზოთერულ ლიტერატურას ნაკითხავს და უცებ წარმოიდგენს, რომ უდიდესი ალმოჩენა გააკეთა, რომ არც მატერიალიზმი არსებობს, არც იდეალიზმი და მთელი სამყარო ეზოთერული სწავლების მიხედვითაა მოწყობილი. ეს ადამიანი თავისი „ალმოჩენის“ ტყვეობაში ექცევა. ამ ლიტერატურას უფრო ადრე რომ გაცნობოდა, მანამდე კი სხვა წიგნები ეკითხა, მაშინ შედარების საშუალება ექნებოდა და სიახლეს მშვიდად აღიქვამდა. შესაძლებელია, ეზოთერული იდეების ერთგული მაინც გამხდარიყო, მაგრამ არა ასე ბრმად, ასე გაუაზრებლად.

— ასეთი „ალმოჩენებით“ დაზიანებული ადამიანები, როგორც წესი, ძალიან რადიკალური არიან ხოლმე. შეიძლება შეგხვდეს ვინმე და მოგაბეზროს თავი, სიტყვაზე, შტაინერიზმზე საუბრით...

— ...იმიტომ, რომ სამყაროს მხოლოდ ასე ხედავს. არადა, ბავშვობაში სამყაროს სხვადასხვაგვარი ახსნა თვითონვე რომ შეეთხზა, იგივე შტაინერიზმს ერთ-ერთ ვერსიად მიიღებდა. საკითხის ზედაპირულად მცოდნე ადამიანები, ჩვეულებრივ, ყველაზე მეტს ხმაურობენ. ეამაყებათ, რომ რალაც ნაკითხეს. ვფიქრობ, პრობლემის მიზეზი, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა ვეძებოთ. ალბათ, თანდათან დალაგდება ყველაფერი. საქართველოში მომხდარმა ამბებმა, არეულობამ, ცვლილებებმა, ბუნებრივია, იმოქმედა ახალგაზრდა თაობაზე. ესეც რომ არა, მთლიანად სამყარო იცვლება. ინტერნეტმა ერთიანად დაანგრია, შეცვალა ყველაფერი. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ის, როგორც მოვლენა უარყოფითია. პირიქით, განათლების მისაღებად ინტერნეტი უზარმაზარი საშუალებაა. იგი უსაზღვრო არჩევანს გთავაზობს, ოღონდ მიინდომე. სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვაკლდა.

დღეს, რა თქმა უნდა, სალიტერატურო არე ძალიან გაფართოვდა. თვით სამყაროც გაიზარდა, ადამიანები მო-

რავლდნენ. ბევრმა დაიწყო წერა. იმ ხალხების ნახევარმა, ვინც ახლა კითხულობს, ერთი საუკუნის წინ კითხვა არც იცოდა. შემდეგ წერა-კითხვა შეისწავლა და წერის სურვილი გაუჩნდა. ძალიან მწელია გაარკვიო ამ „ზღვაში“, თუ რა უნდა წავკითხო, რომელია კარგი წიგნი. ამაში ალბათ ლიტერატურათმცოდნეები უნდა გვეხმარებოდნენ.

**— თქვენი სამუშაო მაგია ინტერ-ნეტთან ამობეჭდილი სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურითაა სავსე...**

— ამჟამად ელექტრონული გამოცემების მკითხველი ვარ. ჯერ ერთი, წიგნი იაფი არ ღირს, მაგრამ ამის გამო კი არა — უფრო იმიტომ, რომ თეატრიდან თითქმის არ გავდივარ. როცა რაიმე მინტერესებს, ინტერნეტის საშუალებით ვპოულობ. თუმცა არის თბილისში რამდენიმე მაღაზია, რომელსაც შენთვის სასურველ წიგნს უკვეთავ და დაახლოებით ორ კვირაში უცხოეთიდან ჩამოაქვს. ეს უზარმაზარი ბედნიერებაა, ასეთი მომსახურება ერთ დროს წარმოუდგენელი იყო.

**— თქვენი ყოველდღიური სამუშაო გრაფიკი ძალიან დატვირთულია, წიგნების კითხვას როგორ ახერხებ?**

— მე ძალიან ცოტას ვკითხულობ. უკვე რამდენიმე წელია, ვკითხულობ მხოლოდ იმას, რაც იმ წუთის მჭირდება. დავუშვავთ ამჯერად, ფიოდორ დოსტოვესკიზე ვემუშავ, ამიტომ ვეცნობი ყველაფერს, რაც მას უკავშირდება — იმდროინდელ ფილოსოფიებს, ასევე, სხვა ჟანრის ლიტერატურას. მარქსსაც ვკითხულობ. მთელი დრო ამას მიაქვს. ძილს წინ, წიგნი რომ გადავშალო და ასე, უბრალოდ ვკითხო — ჩემთვის ფუფუნებაა.

ვკითხულობ იმას, რაც მჭირდება, და მჭირდება ყოველთვის. ახლა ვაკეთებ სპექტაკლს იუკიო მისიმას ნოველის მიხედვით... ხედავთ, რამდენი რამ გვაქვს ამობეჭდილი? იაპონელი რაინდების კოდექსი, იაპონიის ისტორია, მისიმას ბიოგრაფია, მისი ნოველები, სხვა იაპონელი მწერლების ნაწარმოებებიც კი ამოვკრიფე, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ამ ნოველის გაგებაში დამეხმარება...

სახლში, ჩემს ლოგინთანაც ასეთი სურათია. იქაც პიესებია... უფრო სწორად — პიესებთან და მათ ავტორებთან დაკავშირებული ლიტერატურა. არის რეჟისორების მოგონებებიც, მემუარული პროზა. ამ ძიებების დროს, უამრავი ისეთი მასალა მხვდება, რომელიც სპექტაკლისთვის საჭირო არ არის, მაგრამ საინტერესოა. აი მაშინ კი, როგორც ჩვეულებრივი მკითხველი ისე ვინყებ კითხვას. ახლახან, ჩვენი თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგემ, არაჩვეულებრივად ადამიანმა — გურამ ვაშაქიძემ, მომიტანა ერთი რუსი მისტიკოსის, ფილოსოფოსის ნაწერები, სადაც დოსტოვესკიზე საუბრობდა. გავერთე და მთლიანად წავიკითხე. უფრო ასე ვკითხულობ.

...თუმცა, არსებობს პიესები, რომლებსაც ასეთი ღრმა შესწავლა არ სჭირდება.

**— როგორც რეჟისორს, მწერლების მიმართ ალბათ, გარკვეული შინაგანი მოთხოვნები გექნებათ. როგორ ან რის მიხედვით ირჩევთ პიესას? წაკითხულს ისვენებ?**

— ეს სრულიად სხვადასხვაგვარად ხდება. თუ კლასიკური ნაწარმოებია, რა თქმა უნდა, წაკითხულს ვისვენებ. რეჟისორმა ყველა კლასიკური პიესა უნდა იცოდეს. ეს ჩვენი პროფესიის ნაწილია. დავუშვავთ, შექსპირი — ახლა პირველად რომ წავიკითხო, სპექტაკლს აუცილებლად „გავაფუჭებ“. ეს იგივეა, რასაც „გვიან წაკითხული წიგნის“ შესახებ,

ცოტა ხნის წინ ვამბობდი. მაგალითად, უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“ ჯერ მეათე კლასში უნდა წავიკითხო, შემდეგ — სტუდენტობისას, მერე — ორმოცი წლის ასაკში... სადაც, სამოციას რომ გახდები და ისევ წავიკითხავ, მაშინ მიხვდები, თუ რისი თქმა სურდა ავტორს. მიხვდები, რომ მანამდე სულ „სხვადასხვა“ პიესას კითხულობდი. კორნელიუსს ან არისტოფანეს ახლა რომ გავეცნო, არ იქნება კარგი. ნაწარმოებს ბევრჯერ უნდა მიუბრუნდე.

ახალგაზრდებს შორის ძალიან პოპულარული წიგნია ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“. თავის დროზე, მეც ვაჭაყვებო ვკითხულობდი, ვამბობდი: „ეს ხომ ჩემზეა!“ შემდეგ გადავფურცლავდი, ისევ ვიტყვოდი: „ვაიმე, ესეც ჩემზეა!“ არადა, ურთიერთგამომრიცხავი რამ ეწერა. თვითონ ავტორი, ერთგან წერდა: მიკვირს, ვერ გამიგია რაშია საქმე, „ტრამალის მგელი“ ახალგაზრდული თემები არ არის, პირიქით, წიგნი ორმოც წელს გადაბეჭდილი, მარტოსული ადამიანის პრობლემაზე არისო. უკვირდა, ასე ძალიან რომ შეიყვარა ახალმა თაობამ ეს ნაწარმოები.

როგორც ჩანს, ადრეულ ასაკში აბსოლუტურად სხვაგვარად, რომანტიკულად აღიქვამ. „ტრამალის მგელი“ ახლა რომ წავიკითხო, უკვე მიხვდები, რისი თქმა სურდა ჰესეს. თუმცა იმისთვის, რომ ჩემი ალქმა უფრო ღრმა იყოს, ახალგაზრდობაში განცდილი უნდა მახსოვდეს. ამიტომ, როცა კლასიკურ პიესას კითხულობ, უკეთესია, მასთან დაკავშირებული მოგონებების შლევით თან გიდევეს. ხოლო, თუ თანამედროვე პიესაა, მაშინ ეგრევე უნდა მოგხიბლოს! უკანმოუხედავად!

**— „ქაქუცა ჩოლოყაშვილს“ როცა კითხულობდი, ასე მოხდა?**

— არა, იქ საქმე „უარესად“ იყო: თეატრში მოვიდა არაჩვეულებრივი დრამატურგი გურამ ქართველიშვილი, მას „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ დამთავრებული არ ჰქონდა, მხოლოდ რამდენიმე სცენა წამიკითხა და ვუთხარი: „გადასარეგია, ალარც ვიფიქროთ!“ დანარჩენი აქ დაიწერა, თეატრში. გურამი ჩემს ოთახში ჩაიკეტა — არსად წასვლა არ მინდა, აქ ვიქნებოდი. ახალ წელსაც აქ შეხვდა, პიესის წერაში.

**— რით მოგხიბლათ ასე „ქაქუცამ“?**

— გურამ ქართველიშვილი ძალიან კარგი დრამატურგია და ამავე დროს, არაჩვეულებრივი მხრობელია. როგორც გითხარით, პიესის ნაწილი დანერგული ჰქონდა, დანარჩენს კი, ისე ყვებოდა, რომ... ეს ისტორია განსაკუთრებულად მაინტერესებდა. მიუხედავად იმისა, რომ ბებიაჩემის ძმები ოფიცრები იყვნენ, ხოლო ბაბუის ძმა იუნკერად მსახურობდა და კოჯორთან იბრძოდა, — საქართველოს ისტორიის ამ მოწვევას კარგად არ ვიცნობდი, ჩემთვის ეს თეთრი ლაქა იყო. ვფიქრობდი, რომ ამ თემაზე სპექტაკლის დადგმა სიხარულს მომიტანდა. ხოლო როცა კარგი პიესა დაიბადა, ორმაგად ბედნიერი ვიყავი.

**— საუბრის დასაწყისში მითხარი, თანამედროვე ლიტერატურის „გლახა“ მკითხველი ვარ...**

— უკვე არა მარტო თანამედროვე ლიტერატურის — საერთოდ, გლახა მკითხველი ვარ.

**— თქვენი პირველი წიგნი გახსოვთ?**

— ასე ერქვა — „სად არის ჯადოქარი?“ არ მახსოვს „მიგნით“ რა ხდებოდა, ვერც ავტორს ვიხსენებ, ალბათ კარგი წიგნი არ იყო. დიდი მოცულობა ჰქონდა, დაახლოებით — ორმოც გვერდამდე. სკოლაში შესვლამდე წავიკითხე. ბავშვობაში ხშირად ავადგმყოფობდი, ამ დროს ვკითხულობდი ხოლმე. ახლა, იმის მეხუთედსაც აღარ ვკითხულობ. თუმცა მგონია, რომ გაცილებით მეტი შეიძლება. მაშინ კარგი ლიტერატურა არც იშოვებოდა. ვინ მოთველის რამდენიმე „ნაგავი“ მაქვს წაკითხული...

**— თქვენი თაობა უცხოურ ლიტერატურას ძირითადად რუსულ ენაზე კითხ-**

**ულობდა. დღეს, თარგმანის მხრივ, მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია...**

— ქართული თარგმანები გაუმჯობესდა, თუმცა პრობლემა მაინც არსებობს. ბოდიშს ვიხდი ამას რომ ვამბობ, მე არ მეკითხება, მაგრამ პიესების თარგმანებზე მოგახსენებთ: 20-30 წლის წინ, ზოგიერთი მთარგმნელი თითქოს ერთობოდა ფსევდო-ქართული ენის „მშვენიერებით“, ხელოვნური ქართულით წერდა და ხარისხს



სცენა სპექტაკლიდან „ზაფხულის ღამის სიზმარი“

უცნაური თუ მაღალფარდოვანი სიტყვების სიმრავლეში ხედავდა... თარგმნის ასეთი მანერა, ხელოვნურად შერჩეული სიტყვები, ხშირ შემთხვევაში, სრულიად არ მიესადაგებოდა ამა თუ იმ ხასიათის ნაწარმოებს. შექსპირის „ჰამლეტი“, ოფელის სიგეჟის სცენა, როცა ის ყვავილებს არიგებს, ქართული თარგმანის მიხედვით ძალიან რთული აღსაქმელია. „ზაფხულის ღამის სიზმარი“, მოქმედ პიერეს ქართულად ისეთი სახელები ჰქვიათ, რომ სპექტაკლში ვერ გამოვიყენებ და პერსონაჟები ერთმანეთს სახელებით არ მიმართავენ. მაგალითად, პიესის მთავარ გმირს, რომელიც შემდეგ ვირად გადაიქცევა, ავტორმა დაარქვა „ოტტომ“, ხოლო ქართულ თარგმანში „კოჭა“ დაინერა. ინგლისურ ენაში სიტყვას „ოტტომ“ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, იგი ნიშნავს საფუძველს, საძირკვეს, ნიადაგს და ასევე, უკანაღს. შექსპირისეული სახელიც აქედან გამომდინარეა, ხომ? ანუ, მიუთითებს — უკანალივით ჭკუა აქვს, სულელი კაციაო... რაშია იცი თქმა, ეს მთარგმნელების პრობლემა კი არ არის, არამედ მთარგმნელებსა და თეატრს შორის მცდარი ურთიერთობის შედეგია. ნახევარი საუკუნის წინ, პიესების მაღალფარდოვანი, პათეტური ენა მისაღები იყო რეჟისორებისთვის, რადგან ეს მაშინდელი თეატრის ხასიათს პასუხობდა. რეჟისორთა ახალი თაობების — მიხეილ თუმანიშვილის, რობერტ სტურუას მოხვლასთან ერთად, ახალი ენა „შემოვიდა“, თეატრის პათოსი შეიცვალა, თეატრი თითქოს უფრო გაადამინა უფრო და უკვე, ახალი თარგმანები გახდა საჭირო.

**— მგონი კლასიკურ ლიტერატურაში ახალი თარგმანების დიდი არჩევანი არ უნდა იყოს...**

— ნადვილად ვიცი, რომ, მაგალითად, რობერტ სტურუა, კლასიკურ პიესას თითქმის ახლიდან „წერს“. ეს მისი მეთოდია. მსახიობებთან ერთად ტექსტზე მუშაობისას, შეიძლება ითქვას, პიესა თავიდან იქმნება. რეჟისორი მთელ ტექსტს თითოეული მსახიობის ტემპორიტმს არგებს. ამგვარი რიტმული პროზის ოსტატია ქალბატონი ლილი ფოფხაძე, რომელიც წლების მანძილზე ბატონ რობერტთან ერთად მუშაობს.

**ჩვენც, როგორც წესი, მთარგმნელებთან ერთად თავიდან გავდივართ პიესის ტექსტს. მაგალითად, თუ შექსპირის რომელიმე პიესას ვდგამთ, ინგლისურ დედანისა და რუსულ თარგმანებს ვიყენებთ. ინგლისური ენა სრულყოფილად არ ვიცი, ლექსიკონს ვიხმარ ხოლმე, მაგრამ თუ რაიმეს იქაც ვერ მივხვდი, მაშინ რუსულ თარგმანს ვადარებ. არ მინდა მათი ქება გამოვივიდეს, მაგრამ იქ ყველაფერი გასაგებია. ქართული თარგმანი კი, ჯერ უნდა „გააქართულო“. თეტრში ერთგვარი პროფესია გაჩნდა — თარგმნილი პიესების „გაქართულება“, „გადაამიანურება“.**

**— თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე რას იტყვი?**

— არსებობს რამდენიმე ძალიან კარგი ქართველი დრამატურგი, რომელმაც

ზედმინევენი იცის დრამატურგიის კანონები, მაგრამ ამავე დროს „ანგრევს“ ამ კანონებს. იმის გამო, რომ ამას ცოდნით აკეთებს — კარგად, გასაგებად გამოსდის. ერთია, როცა სათამაშოს ჩაქურჩს ჩაარტყამ და დაამსხვრევ, მეორეა — როცა დაშლი, ნაწილებს გადაუადგილებ და თავიდან ააწყობ.

თანამედროვე ქართული დრამატურგიის პრობლემა, ვფიქრობ, ის არის, რომ ჯერ-ჯერობით ძალიან პატარ-პატარა პიესები იწერება. მაგალითად, კითხულობ პიესას, ხედავს, რომ მისი ავტორი ძალიან ნიჭიერი კაცია, მაგრამ ჩანაფიქრის, თემატიკისა თუ აღმოჩენების თვალსაზრისით, გაუბედავობა ეტყობა. დღეს ორატორიანი პიესა ძალიან იშვიათია, არაფერს ვამბობ — სამაქტიანზე. მაგრამ არაფერია, რაც მთავარია ქართველი დრამატურგები არსებობენ, ეს კი იმის საწინდარია, რომ რამდენიმე წელიწადში, რამდენიმე თეატრალურ სეზონში ჩვენ „ვიფეთქებთ“ და ძალიან სერიოზულ ახალ დრამატურგიას შევქმნით, ჩვენი კლდევილები გვეყოლება...

**— ბატონი ლევან, ახალი სეზონისთვის როგორ ემზადებით, რა გეგმები გაქვთ?**

— მრავალი გეგმა გვაქვს. ოთხ პიესაზე ვემუშავებთ. ერთ-ერთის მიხედვით რეპეტიციებს უკვე გავდივართ, მეორე სპექტაკლის მზადებას კი ახლა ვინყვებთ.

ბატონმა გურამ ბათიაშვილმა დანერა პიესა კოტე მარჯანიშვილზე და მისი თეატრის შექმნის ისტორიაზე. პიესა დოკუმენტურია. თუმცა, დოკუმენტალიზმის მიღმა, ეს იქნება პოეტურ-გოტიკური სპექტაკლი ხელოვნებაზე, სამყაროზე, ჩინოვნისებზე, ბრუტალიზმის მიუღებლობაზე, მასთან ბრძოლაზე. ვაჩვენებთ, თუ როგორ იცლება, იწურება რეჟისორის ფანტაზია ფუჭ, არასაჭირო წინააღმდეგობებში. ხოლო როცა, ყოფილი თანამოაზრეები, ხმალმემართულსა და ცხენზე ამხედრებულს ვეღარ ხედავენ — არ პატიობენ ბრძოლაში დაღლას. აი, ასეთი ტრაგიკული ისტორიაა.

დავასრულეთ მუშაობა აღეხანდრო კასონას პიესაზე „ხეები ზეზუღლად კვედებიან“. რეპეტიციები უკვე მიმდინარეობს. ამ სპექტაკლს რეჟისორ დიმიტრი ღვთისაშვილთან ერთად ვდგამ.

შემდეგ თემა გახლავთ ფიოდორ დოსტოვესკის „ემმაკეულინი“. ეს მისი ყველაზე რთული რომანია. თან, არ იბეჭდებოდა, მხოლოდ ე.წ. „პერსტროიკის“ პერიოდში გამოვიდა და მაშინ წავიკითხე. ამ დადგმისთვის დიდი ხანია ვემზადებით. აგვისტოს ომის შემდეგ, მომეჩვენა, რომ აუცილებელია გავარკვიო, პირველ რიგში ჩემთვის, თუ რა დევს რუს ხალხში ისეთი, „სხვა რუსეთის“ რომ ახშობს. „ორი რუსეთის“ არსებობა ხომ ჩემი თაობის ქიემერაა. მახსოვს, ერთხელ, ჩვენი თეატრის მსახიობმა, გია ბურჯანაძემ ერთ-ერთი ომის შემდეგ თქვა: „თურმე, არ არსებობს ორი რუსეთი, ის ერთი ყოფილაო“. ეს ძალიან მტკივნეულია. ამ რომანშიც ერთადაა — ბოროტება, ინტელექტი, ცოდნა... განა რუსი არ იყო ალექსანდრე პუშკინი, რომელიც წერდა, ნიჭი და ბოროტება ერთმანეთთან შეუთავსებელიაო? მაგრამ თურმე ასე არ არის. დოსტოვესკის რომანშიც და თვით ამ ერის უკანასკნელი საუკუნეების ისტორიაშიც, ბოროტების განდიდების სურათი იხატება. როდის გადაუხვინო იქით? ან, იქნებ, არც გადაუხვნიო და მათში რაღაც წყევლა დევს? იქნებ ეშმაკია ჩაბუდებული, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოიდევნოს? სწორედ ამის შესახებ არის ეს არაჩვეულებრივად საინტერესო პიესა.

ბატონი გურამ ვაშაქიძე ქრისტიანული ლიტერატურითაც მამარაგებს, რადგან „ემმაკეულინი“, ამავე დროს, ღვთისკენ, თეოლოგიური ფასეულობებისკენ მიმართული ნაწარმოებია.

მეოთხე სპექტაკლი კი, იუკიო მისიმას ნოველის „ჰატეროტიზმის“ მიხედვით განხორციელდება. პიესას გურამ ვაშაქიძე წერს, მეც მასთან ერთად ვემუშავებ. პატარა, თითქმის უტექსტო ნოველაა, ერთი ღამის ამბავს მოგვითხრობს: არმიის ოფიცერი შეიტყობს, რომ მისი მეგობრები იმპერატორს აუჯანყდნენ. მას მეგობრების დახვრეტას დაავალდებულეს. ოფიცერი ღირსებას ირჩევს და მეუღლესთან ერთად ხარკიერი იკლავს თავს. პიესა ქალსა და მამაკაცს შორის იდეალურ, ჰარმონიულ ურთიერთობასა და სამშობლოს სიყვარულზეა...



სცენა სპექტაკლიდან „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“

გიუნტერ შტაინს ვერმანიში იცნობენ, როგორც არაერთი პოპულარული რომანისა და მოთხრობის ავტორს, თავისუფალ მწერალს, მთარგმნელს და საბჭოთა ლიტერატურის ექსპერტს. მას თარგმნილი აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ასზე მეტი მწერლის ნაწარმოები და მათ შორის, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“.

გიუნტერ შტაინი არის ვერმანიის ნაციონალური პრემიისა და ფონტანეს ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. მისი ავტორობით 1984 წელს მოსკოვის საზღვარგარეთული ლიტერატურის გამომცემლობა „პროგრესმა“ რუსულ ენაზე გამოსცა ნიგნი „მე ვიცი სიყვარული“ (რუსული სახელწოდებით: „მოგზაურობა რუსთაველის ქვეყანაში“). ქვემოთ გთავაზობთ ამ მოგზაურობის პირველ ვერსიას, სადაც გადმოცემულია გერმანელი მწერლის საქართველოში ჩამოსვლის პირველი საათები და ნოდარ დუმბაძესთან გატარებული ერთი „უცნაური“ დღის ამბავი.

მეშვენიერი ხურს, ვერგარებს და ხმაურობს ელიფსის ფორმის ამ გიგანტურ, ჯოჯოხეთურ ტაფაში, რომელსაც გამჭვივრულ, მოციფურხო ოსვიარის ას-დის. მწვანე ბალახით მოფენილ, ზღვასავეით აღელვებულ მოედანზე თეთრ და ლურჯ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ფეხბურთელები დაქრიან. მათ გადაადგილებას მოედნის ერთი ნახევრიდან მეორეზე ხან ჩასაფრებული და მომლოდინე სიჩუმე, ხან სულსიმეძვრელი ღრიალი მოსდევს. ტაფის შიდა, გვერდითი კედლები კიდემდე გაჭვარტლული სამოციანთასი მწველი ქართველის შავი პიჯაკებით, შავი თმებითა და შავი თვალებით. ჩემი უსუსური ძვლები უგზოუკვლოდ ჩაიკარგა ამ ბუღში. ყველაფერი ღვინოა: ატმოსფერო ნაყინი ჩემს მარჯვენა ხელში, ფოტოპარატი – მარცხენაში, შავი პერანგი — ჩემს გვერდით მჯდომ ნოდარის ტანზე, ბეტონის ბილიკები, ჰაერი. გავარვარებულ სკამებზე სხდებიან მხოლოდ მანქანის, როცა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელები მოსკოვითა კარიდან მოედნის საკუთარი ნახევრისაკენ გამოვლიან.

— ვაშაა! ვაშაა! — გაისმის სტადიონზე. სტადიონი კვლავ ფეხზე დგას და კვლავ გრიალებს. თბილისელები უტყვენ. ნარუმბატელობის დროს ხმამაღლა გამოხატავენ უკმაყოფილებას. ხარხარებენ, როცა თბილისელი ფეხბურთელები მონიწილადმდეგეს მოატყუებენ. ყურები მისკდება. ნოდარი ცოტა არ იყოს გულისწყლოდ მესტეპის ჩემს ინდიფერენტულობას, ალბათ უყვირს, ასე უემოციოდ რომ ვლოკავ ნაყინს და ნერვიც არ მიტოკავს.

ნამიერ სიჩუმეს უეცრად სულისშემძვრელი ყვირილი არღვევს, კვლავ გაისმის გამაყრებელი „ვაშააა!“, ვაშაა! სტადიონის თავზე თითქოს მები გავარდაო, თითქოს რაღაც გიგანტური ზამბარა განყდა ან რეაქტიული ხომალდის ძრავა ჩაართო, მთელი სტადიონი ფეხზე წამოხტა.

— გოოოოოო! გოოოოო! გოოოოო! ღრიალებენ და ხელბის იქნევენ — ვაშააა! კაცები გულში იკრავენ ერთმანეთს, ჩემი ნაყინის ვაფლი ვილაცის შავ პერანგზე დაეცა. ცაში მიფრინავენ კეპები, ფეტრის შლაპები, პიჯაკები და მათთან ერთად ჩემი ფოტოპარატიც, მანამდე, ვიდრე ამ მომენტის გადაღებას მოვასწრებდე.

— ვაშაააა!

ემშაკმაც დალახვროს! მაგარ შეხვედრას მიმზადებს თბილისი! არადა, ჯერ სამი საათიც არაა, რაც საქართველოში ჩამოვდიე ფეხი — სტუმართმოყვარეობით განთქმულ ქვეყანაში, რომელსაც ვოცნებობ მას შემდეგ, რაც ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ ვთარგმნე გერმანულად...

ნოდარმა საოცარი გულთბილობით მიმილო, დამაპურა და ამ მატჩზე გამომაქანა. ბილეთები ჩემთვის და თავისთვის წინასწარ ჰქონდა შექმნილი. თუმცა, ამ



წუთას, სულ არ ვახსოვარ, საერთოდ არ ზრუნავს ჩემზე, თავიდან ფეხებამდე ჩართული საერთო მღელვარებაში და ვერც კი ხედავს, რა ძალისხმევა მჭირდება იმისათვის, რომ ათასი მუხლისა და ჩანთის ლაბირინთიდან ჩემი ფოტოპარატი გამოვიტაცო.

არა მგონია, ვინმე მითვალვალბედეს, მაგრამ, როცა ტრიბუნა შედარებით დაშოშმინებულია, მე კი ამ დროს ამოძრავებას ვცდილობ, ახლო-მახლოდან თავშეკავებული ხითხითი მესმის და ვგრძნობ, როგორ შემომყურებს რამდენიმე, აშკარად დამცინავი შავი თვალი. თავს უხერხულად ვგრძნობ, ცოტა არ იყოს, მწყინს კიდევ. ჩემგან მარჯვნივ სამი-ოთხი რიგით შემოთ, ზის ახალგაზრდა ქალი, ვითარცა ალი შავ ფონზე. მას კვასკვასა, ნითარი კაბა აცვია, ხორბლისფერ სახეზე ოდნავ შესამჩნევი ლიმილი დასთამაშებს და აშკარად მაკვირდება.

— ღმერთო! ეს რა მოსვლია თქვენს აპარატს! — უტყვებ შებვირა ნოდარმა. ხელიდან ფოტოპარატი გამომართვა, შეატრიალ-შემოატრიალა და საკუთარი პერანგის სახელით დაიწყო მისი განმენდა.

— ძალიან გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ აპარატი განგებ გამოგგლიჯეს ხელიდან, შემთხვევით მოუვიდათ. ალბათ, ჩემი თანამემამულეების სახელით ბიდიში უნდა მოგიხადოთ. საშინელი ხალხი ვართ ქართველები, აუტანელი! სიტყვას არ ვამბობთ, ზედ ხელი, ხელს რას ვჩირხ, ფეხი და მთელი ტანი რომ არ მივაყოლოთ. ყესტების გარეშე ლაპარაკი არ შეგვიძლია. მაგრამ, თუ დღესასწაულია — ქორწილი, ნათლაბა... ფეხბურთე რა ხდება, ამას თავდაც ხედავთ. არა, განგებ არა! შემთხვევით, უნებლიეთ — შეიძლება, განგებ — გამორიცხულია!

ნოდარი გულის ამაჩუყებლად ცდილობდა ჩემს დამშვიდებას, მაგრამ კარგად როცა დამაკვირდა, გაოცდა:

— ისეთი გაბრწყინებული და მადლიერი სახე გაქვთ, გეგონება, საჩუქარი მიართვესო — მითხრა მან.

— შეიძლება ასეც არის... — ვუპასუხე მე. ორივეს გაგვიცნა.

— იცით, არის ასეთი ქართული ანდაზა: „თუ ერთი იცინის — თავს დასცინის, თუ ორი — ერთმანეთს დასცინიან, მაგრამ თუ სამი იცინის, ნიშნავს, რომ მართლა სასაცილოა“. ხედავთ, ახლა ჩვენ ორნი ვიცინით! — თქვა ნოდარმა და სიცილისგან ჩაბჭირდა, თან ხელს ბარძაყზე ისაათუნებდა, — ორნი ვიცინით!

აქ მორჩა ჩემი ვერცხობაც და გაღიზიანებაც. ნოდარი ვერ ამჩნევს, რომ ორი კი არა, სამი ვიცინით. ანდა, ეგებ ამჩნევს კიდევ... ისეთ მწერალს, როგორც ნოდარია, მსგავსი დეტალები ყურადღების მიღმა იშვიათად რჩება.

ნოდარ დუმბაძე საქართველოს მწერალთა საშუალო თაობის წარმომადგენელია, და მათ შორის — ერთერთი ყველაზე პოპულარული. თავისი რომანებითა და პიესებით მან არა მარტო საქართველოს, არამედ შორს კავკასიის მთებს იქით ყველაზე ავტორიტეტულ მკითხველთა აღიარება მოიპოვა. თან ისე კი არა, როგორც ლიტერატურის ზოგიერთი ეკვილიბრისტი, რომელიც მკითხველის გაოგნებას სულსიმეძვრელი სიუჟეტებით (ცდილობს, შემოქმედებით მწვერვალისკენ მიიღვტვის და იმ სიმალეებიდან ადამიანებს ან ბუნდოვნად ან საერთოდ ვერ ხედავს. დუმბაძე სულ სხვა ცომისაგან არის მოზღლილი. ეს არის დიდი, თბილი გულის მწერალი, რომელსაც სხვისი ტკივილი ესმის და გულწრფელად განიცდის. მე ეს მისი ნიგნის თარგმნის დროს ვიგრძენი. „მე ვხედავ მზეს“ არის საოცრად დახვეწილი ამბავი ბავშვური სიყვარულისა: პაატა, გამბედავი გოგონა ხატია, მზისა და თავისი მეგობარი ვაჟის სოსოიას გარდა ვერაფერს ხედავს. სოსო საიმედოდ უდგას ხატის გვერდში და იმედით აღავსებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად აეხ-

# გიუნტერ შტაინი მხურვალი მასპინძლობა

(ნანყვეტი ესხედან „მე ვიცი სიყვარული“)

ილება თვალი. დიდი პოეტურობით, ამავე დროს ყოველგვარი სანტიმენტალობის გარეშე და ცოცხალი იმპროვიზირებული ანტიმლოდ ისეთ მწერალს, რომელსაც ფესვები ხალხის ნიაღში აქვს გადგმული, იქიდან მოდის, რომელიც ზედმიწევნით იცნობს ადამიანს და მისი ცხოვრების წესს.

ფეხბურთის იმ დაუვინყარი მატჩის შემდეგ სწორედ ამ ფიქრებით ვტოვებ სტადიონს. თბილისის „დინამომ“ მოიგო. ჩაფსკენილი აღნაგობის ნოდარ დუმბაძე ნინ მიმიძღვის. მასაც და მეც ორივე მხრიდან გვეჯახებიან, მხარს გვკრავენ, თუმცა ნოდარს ეს სულ არ ანუხებს, პირიქით, მგონი, მოსწონს კიდევ. სწორედ ამ მღელვარე მასის შუაგულში გრძნობს თავს გემრიელად. ესალმება ნაცნობ-მეგობრებს, თავებს ზემოთ ვილატეებს მზინაირულად ეხმანება, ხელს ართმევს გამვლელებს და ზოგიერთს გულშიც იკრავს. ახლა აღარც მახსოვს, როგორი წარმომედგინა საწერ მაგიდასთან? ძნელი სათქმელია.

ხატიასა და სოსოზე მისი ნიგნი რომ არ მქონოდა ნაკითხული, ამ სიცოცხლით სახვე კაცის ნაწარმოებებში ჯერ სხვაღირსებების ძიებას შევეუდგებოდი და შემდეგ იმ უნაზესი პოეზიისა, რომელიც „მე ვხედავ მზეს“ აღმოვაჩინე. ეს იქნებოდა იმ გრძნობათა ძიება, რომელიც ნაწარმოების გემირებს გამრუდებული ცხოვრების ნინაშე უშიშარს ხდის და სათავეს უდებს მათ რაინდულ თავდაწირვასა და გამბედაობას.

მაგრამ, როგორც იტყვიან, გარეგნობა ხშირად მატყუარაა. თანამემამულეთა გარეგნობაც კი. როგორც მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელმა, კარგად ვიცი, უცხოელის შეფასების დროს რომ არასოდეს უნდა აჩქარდე. ადამიანი თუ „სხვა ცის ქვეშ“ დაიბადა, სხვა სამყაროში, სხვა ტრადიციებზე აღზრდილი, თუ განსხვავებულ ისტორიულ და საზოგადოებრივ პირობებში ცხოვრობს და მუშაობს, ვერ განსჯი ან გაუვებ მას თუ არაფერი გაიგე მისი ხალხის გუშინდელი, დღევანდელი და ხვალისდელი დღის შესახებ? თითქმის 30 წელია, რაც ვთარგმნი ძველ და ახალ რუსულ და უკრაინულ პროზას და მთელი ამ წინს განწავლობაში ვცდილობ ამ ლიტერატურის შემქმნელ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობა ვიქონიო.

განა ეს დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობა არ მამოდრავდება, როცა საბჭოთა კავშირში ვმოგზაურობდი: ნევაზე ლენინგრადში, ოდესის პორტში, ვოლგაზე ყაზანში, დნეპრზე კიევიში, ხარკოვიში, პოლტავაში, რუსეთის ღრმა სოფლებში, მოსკოვიში? დიახ — ცნობისმოყვარეობა ადამიანების, ხალხების მიმართ, მათი კულტურის, ადგილ-ჩვევების მიმართ...

ახლა საქართველოსადმი ინტერესმა შემიპყრო და ამის მიზეზი ნოდარ დუმბაძის რომანია. თუმცა, ვიდრე მისი ნაწარმოების თარგმნას შევეუდგებოდი, ქართული ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის საკმაოდ დიდ მასალას გავეცანი. ძალიან გამიბატოვა საქართველომ. ამ ლიტერატურის გაცნობის დროს იმდენი და ისეთი აღმოჩენები გავაკეთე ჩემთვის, რომ კითხვას ვერ მოვწყდით, უფრო და უფრო მეტის გაგება მომინდა ამ ზღაპრულ ქვეყანაზე. გადავწყვიტე ჩამოვსულიყავი და წყნარად დამეთვალაღიერებინა იგი. წყნარად...

როგორც ახლახან აღმოვაჩინე, საქართველო და სიმშვიდე ის იგივეა, რაც ცეცხლი და წყალი. გონზე მოსვლას ვერ ვასწრებ: სტადიონიდან გამოვედით თუ არა, ნოდარმა ხელი ასწია, ხმამაღლა დაიძახა „ხე, ამიგო ნიკოლო!“ და ასე გააჩერა ტაქსი. ხან მარჯვნივ გამახედებდა, ხან — მარცხნივ, რაც გზად გვხვდებოდა, ყველაფრის ჩვენებას და ახსნას ცდილობდა.

— გარშემო ხო ხედავთ მთების ჯაჭვს? თბილისი ერთ დიდ ტაფობშია მოქცეული. ამიტომ აქ იშვიათად ცივა და თითქმის არა თოვს. თბილისი თბილი ნიშნავს. ჩვენი დედაქალაქის სახელი მისი თბილი გო-

გირდის წყლებიდან მომდინარეობს... ხედავთ მთაზე ნანგრევებს? — ეს ძველი ციხესიმაგრე ნარიალაა. უდავოდ გეცოდინებათ, რამდენი წლისაა თბილისი!

— ათასსუთასი — სხაპასუხით ვუპასუხე მე. სწორედ ახლახან მქონდა ეს ამოკითხული.

— დიახ, მეხუთე საუკუნეში ქალაქი მეფე ვახტანგ გორგასალმა დააარსა და მას მერე თბილისი ორმოცჯერ განადგურდა და აღორძინდა. — ამას რომ ამბობდა, ნოდარი მრავალმნიშვნელოვნად წევდა ნარბებს. — სიცოცხლის რა ჟინია არა? ტროასგან, ბაბილონისგან, მილეთისა და კართაგენისგან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა!

მტკვრის სანაპიროს მივუყვებით. ნოდარი ძველ ეკლესიაზე მიმითითებს, რომელიც მტკვრის მეორე ნაპირზე კლდებზეა შემოსკუპული. ამ ტაძარს მეტეხი ჰქვია. მის უკან ერთ დროს თამარ დედოფლის სასახლე მდებარეობდა, დედოფლისა, რომლის სახელიც საქართველოს აყვავების ხანასთან და დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ქოემა „ვეფხისტყაოსანთანა“ დაკავშირებული.

უეცრად, ნოდარმა თხრობა შეწყვიტა: — უფ, მე ჯერ ჩვენი მძლოლიც კი არ გაგაცანით. იგიც თბილისის ერთგვარი ღირსშესანიშნავობაა — ნიკოლოზ გიორგაძე!

მძლოლმა თავი შემოატრიალა. უბრალო, მზით გარუჯული სახე ჰქონდა, ჭალარა წარბები და ულვაში.

— მე ამიგო ნიკოლოს მეძახიან — ჩაიცინა მან და გაბრწყინებული, ახალგაზრდული თვალები შემომანათა.

— საიდან გაქვთ იტალიური სახელი?

— ოჰ, ეს გრძელი ამბავია, — მორიდებით მიპასუხა მან და გაჩუმდა. ეს ამბავი, იქვე, ტაქსიში ნოდარმა მომიყვა: მეორე მსოფლიო ომის დროს მიმედ დაჭრილი გიორგაძე ტყვედ ჩავარდნილა და ერთ-ერთ კონცენტრაციულ ბანაკში მოხვედრილა, გამოჯანსაღების შემდეგ ბანაკიდან გაქცეულა და იტალიელ პარტიზნებს შეერთებია ტურინის გარეუბანში. ერთ-ერთი თავდასხმის დროს მას თავისი იტალიური ავტომობილი „ლანციათი“ გერმანელი გენერალი მოუტაცია. ამ ავტომობილი იგი, თურმე, თავის მეთაურს, იტალიის მომავალ სენატორ ჯოვანი ბურლანდოს ატარებდა. მასთან ერთად იხვედა ბრძოლით უკან ვიდრე ალპები არ გადალახეს და ფრანგ „მაკიებს“ არ შეუერთდნენ. მთელი ამ ამბების შემდეგ, ნიკოლოზ გიორგაძე ისევ საქსტანის ზის და ახლა ტაქსით დაუყვება ალმა-დალმა თბილისის ორასკილომეტრინა ქუჩებს. თავისი მანქანით დღემდე დაახლოებით ერთმილიარდ კილომეტრს აკეთებს. ასეთია ერთი საბჭოთა ტაქსისტიკის ამბავი, რომელსაც ომის შემდეგ ლუიჯი ლონგომ საკუთარი ხელით ჩამოკიდა მკვერდ ჰარიალის ვარსკვლავი და მედალი ქალაქი ტურინასათვის.

მთის ქვეშ განლაგებულ ახალშენებლობათა დიდი კვარტალი გავიარეთ და მანქანიდან გადმოვედით. მე მაგრად ჩამოვართვი ხელი ამ საოცრად შთამბეჭდავ, კეთილ ადამიანს და რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის თქმა მოვიხდომე, მაგრამ სათანადო სიტყვების მოძებნა გამიჭირდა, არ მინდოდა გაცვეთილი და მალაღმარელოვანი ფრაზებით დავმშვიდობებოდი. გიორგაძე მიმიხვდა და ძალზე ტაქტიკურად, ისე რომ, ვითომც არაფერიყო, ბედნიერი დროსტარება მისურვა საქართველოში.

— უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ ბევრ მეგობარს, თუნდაც ერთ კარგ მეგობარს, რა საჭიროა დამშვიდობება, ადამიანები ხომ მუდამ თავიდან ვხვდებით ერთმანეთს, ნახვამდის! — თქვა მან.

ვიდრე აზრზე მოვიდოდი, ნოდარმა ჩემი თავი იქვე მდგომ წარმოსადევ კაცებს წარუდგინა. მივხვდი, რომ ეს ხალხი ჩვენი გველოდებოდა. ნოდარმა მათ ჩემი თავი გადააბარა, მერე ამიგო ნიკოლოს ტაქსი ჩაუხტა და „ნახვამდის“ გამოგვძახა.



ალექსანდრ ბლოკი

# სიხვიდობა თქული

და მოჯირითე მძლავრმა ბიძგმა გადაისროლა, კეფით დაასკდა მშობლიურ და მონყალე მინას, მინას, ადრეულ გაზაფხულის მადლით გაპოხილს, და სწორედ მაშინ, იმ ხანმოკლე უკანასკნელ წამს ელვისებურად გაუელვა ყველა იმ ფიქრმა, რომელსაც ქვეყნად ვერაფერი შენაცვლებდა, გაუელვა და მიიცვალა, მიიცვალნენ მისი თვალებიც. გვამი კი ცარგვალს მეოცნებე მზერით უმზერდა, უმზერდა ასე თავისუფლად და ასე კარგად.



სულ უფრო ხშირად ამ ქალაქში დავეხეტები, სულ უფრო ხშირად ვხედავ სიკვდილს და მელიმება მე გონივრული გაღიმიებით. რა მოხდა მერე თუკი ასე მსურს. თუ დამყვება ჩვეული ფიქრი, რომ თავის დროზე მეც მენვევა ალბათ სიკვდილი.

ამასწინათ იპოდრომის შემოგარენში მივაბიჯებდი. კამკამა და ოქროცურვილი დღე მთვლემარებად გზისპირ მიყრილ ქვების გროვაზე. და გზატკეცილის მომიჯნავე ყრუ მესერს მიღმა ლორთქო სიმწვანე ხასხასებდა. იქ მოალერსე მზის მკრთალ სხივებში თავჩახრილი თვლემდა თავთავი და გაზაფხულზე გაბნეული ბაბუაწვერა, ხოლო შორს თვალისგანვდენაზე მოლაზღანდარე მოდასაყოლილ უქნარათა ბრბო უსახური ბრტყელ სახურავქვეშ ტრიბუნაზე შეყუჟულიყო. ვხედავდი ბრბოში მოფრიალე პანია ალმებს და ჯამაათსაც, ლობებზე ყინჩად შემომსხდარს.

მივაბიჯებდი. ჩამესმოდა სწრაფი ჯირითი მსუბუქ მინაზე. უსწრაფესი ფლოქვების ჩქამი. მერე მომესმა უეცარი წამოძახილი — ჩამოვარდაო, გაჰყვიროდნენ მოთვალთვალენი, და მეც მაშინვე შევდგი ფეხი პანია კუნძზე და ეს სურათი ერთბაშადვე შემომეფეთა: თავანყვეტილი ჟოკეების მძაფრი ჭენება, და მათ ზურგსუკან მოჯირითე ეული ცხენი, და ჰაერშივე ატყორცნილი მისი უზანგი; არყის ხეების მოშრიალე გვირისტის მიღმა, აქვე ჩემს თვალწინ, ჩემს მახლობლად ეგდო ჟოკეი, ეცვა ყვითელი უნიფორმა, ბალახში იწვა, როგორც დაეცა, გაუნძრევლად ეგდო პირალმა, შეღრმავებული ცარგვალისკენ პირმოქცეული, გეგონებოდა ასე იწვა დასაბამიდან - ხელები ფართოდ, უზრუნველად გადაეშალა, ცალი მუხლი კი შერჩენოდა ოდნავ მოხრილი, თითქოს ამგვარად უკეთესად მონყობილიყო. მოსიერენი გამოობოდნენ მისკენ საშველად და უკვე ეტლიც მოინვედა ნელი ტაატით, მოირბინეს და აიტაცეს ხელში უმაღლე.



და ყვითლად დაჩნდა მისი ფეხი მოკონწიალე, თავი კი სადღაც, მათ მხრებს უკან გადაუვარდა ჩამოდგა ეტლი და განყობილ იქ ბალიშებზე ჟოკეი ფრთხილად და სათუთად გადააწვინეს. და ის სიყვითლე იქიდანაც გამოსჭვიოდა. მერე მავანი ანაზდად და მოუხერხებლად შეხტა იმ ეტლის საფეხურზე და იქ გაჩერდა. ხელით ეჭირა გამოტილის თავი და ფეხი. და თავმომწონე მეეტლემაც არ დააყოვნა, შემოაბრუნა მყისვე ეტლი და გზა განაგრძო, მზეზე ბრწყინავდა ეტლის კოფო, ღერძი და ფრთები.

კარგია ასე თავისუფლად შეყრა სიკვდილთან. მთელი ცხოვრება ჯირითობდა იმ ერთი მიზნით. იმ ერთი სწრაფვით და ჯიუტი იმ ერთი აზრით, რომ სხვებზე ადრე მიეღწია ფინიშის ბოძთან. და ამ ჯირითში ბედაური ნაუბორძიკდა, ფეხებით ველარ შეიმაგრა მან უნაგირი, უზანგიც გვერდზე გადაქანდა, ძველი უზანგი,

სანაპიროზე მახსოვს ერთხელ ვეხეტებოდი, მუშები უხმოდ ირჯებოდნენ სატვირთო ნავთან, აგურს, ქვანახშირს, შემას ურმით ეზიდებოდნენ. თეთრ ქაფს იკრებდა და მუქლურჯად კრთოდა მდინარე. საკინძქმეხსნილ, გაღელილი პერანგებიდან მუშებს უჩანდათ მკერდი მზისგან გადარუჯული. ლალი, რუსული, ცისფერ თვალთა გამონაშუქი მკაცრად ელავდა ჩამუქებულ მათ სახეებზე. იქვე ბავშვები ყვითელ სილას ზელდნენ ფეხებით და მიათრევდნენ თან ნაფოტებს, ძელებს, აგურებს, მიათრევდნენ და სამალავში იმალებოდნენ. ბავშვებს ტერფები მოუჩანდათ სილით მოთხვრილი დედებს კი მკერდი საცოდავად ჩამოქნდოდათ მჭიდროდ მიტმასნილ და ჭუჭყიან, ვინრო კაბის ქვეშ, ასილაქებდნენ ბავშვებს და თან ნადავლს ართმევდნენ, ართმევდნენ ნაფოტს, აგურსა და ნათალ ძელურებს. და ამ მძიმე ტვირთს თვინიერად ეზიდებოდნენ, ხოლო ბავშვები მოფუთფუთე ჯგროდ შესეულნი, კვლავ იპარავდნენ - ზოგი აგურს, ზოგი კი შემას...

უცბად მომესმა დგაფუნე და წამოყვირება, — ჩამოვარდაო, დაიძახეს ნავის კიჩოდან, მუშას ურიკა დაეგდო და ხელგაშვერილი მიანიშნებდა მდინარისკენ დაძრულ ჯამაათს, და ეს ჭრელი ბრბო პერანგებში გამოწყობილი ეშურებოდა გამალებით იქითკენ, სადაც ნარიყ ქვებთან და ბალახებში ზედ მდინარესთან ეგდო ბადე და მავანი კი ბარჟას ათრევდა.

და იქვე, იქვე იმ ნაპირთან წყალში ასვეტილ ხიმინჯებს შორის ტივტივებდა ადამიანი, ეცვა პერანგი, შარვალი კი შემოსცვეთოდა და ირწეოდა სულ ოდნავად წყლის ზედაპირზე. მუშები მჭიდროდ და ღონივრად ჩაებლაუჭნენ, ამოათრიეს გამხვართული, წონოლა ტანი, რომელსაც წყალი დასდიოდა ნიაღვარივით, ამოათრიეს და გამოტეს სანაპიროზე. პოლიციელი დიდრონ ქვებზე ხმალს აკვესებდა, მერე გამოტილს დაებჯინა, მიაყურადა, სველ მკერდზე დიდხანს მიბჯენილი აყურადებდა, ასე ბეჯითად გულისცემას უსმენდა ალბათ. სხვები კი, სხვები, ბრბოს ბორილს გამოხიზნული ქარაფმუტულად რატრატებდნენ გაუთავებლად, რას არ ამბობდნენ და ვის აღარ ჩაჰკირკიტებდნენ — ვაითუ, წყალმა დასცადაო, გაიძახოდნენ, მერე ისიც თქვეს, იქნებ მეტი მოუვიდაო, მერე კი ყველა უხმაუროდ შემომეცალა, და მეც ჩემი გზით უდრტვინველად წამოვეხეტე, წამოსულს ამყვა მთვრალი მუშის ნასაუბრევი — ღვინო არისო ყველას ხელის მომთავებელი, ღვინო ღუპავსო დღეცისმარე ადამიანებს.

წავალ და კიდევ სხვა მხარისკენ წავეხეტები, ვიდრე მზე ბრწყინავს და ჰაერში ვიდრე ხვატია, და ვიდრე ზანტად რიალებენ თავში ფიქრები.

გულო, გამიძებ შენ მეგზურად და წინამძღოლად, ოღონდაც სიკვდილს მოლიმარემ ადევნე თვალი, ვიცი, რომ დაგლის ჩემეული დაღხენილობა, ასეთ სიყვარულს და სიძულვილს ვერვინ გაუძლებს, მე რომ ვიტვირთე და ჩემს წიაღ რომ დავატარებ.

მინდა რომ ყველას ჩაგცქეროდეთ ჯიქურ თვალებში, ვსვამდე ღვინოს და ქალებს ამბორს არ ვამადლიდე, და სურვილების მხურვალეებით ავავსო მწუხრი როდესაც ხვატი არ მანებებს დღისით ოცნებას, და თან ვმღეროდე ცხოველმყოფელ, ძლიერ სიმღერებს, და ქარის ქროლვას მარადიულს ვაყურადებდე.

„საბა 2009“ გახსნილად წლებანდელი ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, „საბა 2006“-ის ლაურეატმა რატი ამალლობელმა გამოაცხადა. მღელვარებამ იმატა. ყველას თავ-თავისი ფავორიტი ჰყავდა და ელოდებოდა ჟიურის საბოლოო სიტყვას. ჟიურის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში წელს რატის გარდა იყვნენ — მთარგმნელი და ლიტერატორი დავით წერეთლიანი; პოეტი, „საბა 2004“-ის ლაურეატი, ლიტერატორი ანდრო ბუაჩიძე; მწერალი, „საბა 2003“-ის ლაურეატი ანა კორძაია-სამადაშვილი და კრიტიკოსი, „საბა 2007“-ის ლაურეატი მალხაზ ხარბედა — გადამწყვეტილება ცერემონიალის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მიიღეს. მას შემდეგ, რაც 150-ზე მეტ წიგნს გაეცნენ, მათ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები გამოავლინეს.

პირველივე ნომინაცია — წლის საუკეთესო დებიუტი — მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა. ჟიურიმ არაორდინარული გადამწყვეტილება მიიღო და პრემია ერთდროულად ორ ადამიანს მიაკუთვნა. პირველად „საბას“ ისტორიაში ერთ ნომინაციაში ორი პრიზი გახდა საჭირო, რაც ასეთივე უჩვეულო აღმოჩნდა პრემიის ორგანიზატორებისთვისაც. ამ ნომინაციაში გამარჯვებულებად დასახელდნენ დიანა ანფიმიანი („შოკოლადი“. „სიესტა“) და გიორგი კეკელიძე („ოდები“. „სიესტა“). მეგობრები სიხარულს ვერ მალავდნენ. ისმოდა ოვაციებიც, რაც მოწმობდა იმას, რომ ჟიურის გადამწყვეტილებამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და სამართლიანობის ჩარჩოშიც მოექცა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად დიდი მღელვარება ხოლმე „საბას“ დაწყებისა და, განსაკუთრებით, დასრულების შემდეგ. მავანნი ჟიურის წევრებს სუბიექტურებაში ადანაშაულებენ, ზოგსაც შვინთა, რომ კონკურსი ლატარეას ჰგავს და ყველაფერი ბედ-ილაზზეა დამოკიდებული. ჟიურიც მუდმივად თავის მართლების მდგომარეობაშია ხოლმე და ეს წელსაც თვალისადაც იყო. არაერთხელ აღინიშნა, ძნელი აღმოჩნდა ამა თუ იმ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენა, იმდენად კარგი ავტორები იყვნენ წარმოდგენილნი. ყველაფერი ეს კი მხოლოდ ერთ რამეს მოწმობს — ლიტერატურული პროცესები მიმდინარეობს. მოთხრობები, ლექსები, რომანები იწერება, უცხოური ლიტერატურა ითარგმნება, დოკუმენტური პროზა, ესეისტიკა, კრიტიკა იქმნება და გამოიცემა — ეს კი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს. მთავარია, მკითხველი და ამ ყველაფრის ნამდვილი შემფასებლები არსებობდნენ და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მათმა ნაწარმოებებმა გაუძღოს დროს,



**2009 წლის 1 ივლისი. „თბილისი ბანკის“ სათაო ოფისის ეზო ხალხით ივსება. აქ ყველაფერი მზადაა იმისთვის, რომ „საბას“ დაჯილდოების ცერემონიალი უკვე მეშვიდედ გაიხსნას საზეიმოდ. შეკრებილი საზოგადოება, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ლიტერატურა და ვისთვისაც თითოეული ახალგაშობილი წიგნი გაცილებით მეტია, ვიდრე თაროზე შემოდებული ლამაზი წიგნი, მოუთმენლად ელოდება გასული წლის საუკეთესო ავტორების გამოვლენას. გივი გაჩეჩილაძის ჯაზ-ბენდი პირველ აკორდებს იღებს. „საბა 2009“ უკვე „რუსთავი2“-ის პირდაპირ ეთერშია.**

რადგან საუკეთესო ჯილდო მაინც ფართო საზოგადოების სიყვარული და ყველა ეპოქისათვის შესატყვისი მარადიულობაა.

ნომინაციაში — კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა — საუკეთესოდ დასახელდა ლევან ბრეგვაძის „მოთხრობები ლიტერატურაზე“ („ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა“). საუკეთესო პიესად ლაშა ბუღაძის „ნაფთალინი“ („წიგნის სახელსონო“) აღიარეს, რომელზეც ანა კორძაია-სამადაშვილმა აღნიშნა: მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ჟიურიმ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. წლის საუკეთესო პროზაულ კრებულად პოეტ გივი სულაკაურის „თამაში რეგოლვერით“ („ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა“) მიიჩნის. თავად გივიც კი „საბას“ პრიზი მსოფლიოში ყველაზე ღირსეულ ჯილდოდ შეაფასა. საუკეთესო პოეტურ კრებულად კი ბათუ დანელიას „MIRABILIS VITA“ გამოარჩიეს. „ვინც არის პოეზიის მცოდნე და უყვარს პოეზია, ძალიან დიდი ხნის მანძილზე არ შეიძლება, არ ეგრძნოს ის ესთეტიკური სიამოვნება, რასაც ბათუ დანელია ანიჭებს თავის მკითხველს თავისი ოსტატობითა და თავისი პოეზიით,“ — აღნიშნა რატი ამალლობელმა. საუკეთესო აღმოჩნდა გიორგი ეკიზაშვილის მიერ ნათარგმნი დანიელ პენაკის „ძალი, ძალი“ („აგორა“) ბატონ გიორგის რადაც ეპოქალურისა და ისტორიულის თქმა კი უნდოდა, მაგრამ როგორც თავად აღნიშნა, თავში აღარაფერი მოუვიდა. საუკეთესო რომანისათვის კი „საბა 2009“ წილად ერგო თეონა დოლენჯაშვილს („მემფისი“. „სიესტა“). თეონა ძალიან ააღვლეა ჟიურის გადამწყვეტილებამ და აღიარა კიდევც: „უზომოდ ბედ-

ნიერი ვარ, რადგან ეს წიგნი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს რომანი ეძღვნება დედას, ჩემთვის ძალიან ძვირფასს ადამიანს და, შესაბამისად, ყველა იმ ადამიანს, ვინც ქმნის სიცოცხლეს, ვისაც ტკივა და უხარია...“

და დადგა დრო ყველაზე მნიშვნელოვანი გადამწყვეტილების გამოცხადებისა. რატი ამალლობელმა სიტყვა „თბილისი ბანკის“ დამფუძნებელს, მამუკა ხაზარაძეს გადასცა: „მე იმდენად განებივრებული ვარ ამ, ასე ვთქვათ, ჩემი როლით, იმდენად მახარებს, რომ ყოველ წელს უნდა დავასახელო საუკეთესო ადამიანები, საუკეთესო მწერლები და პოეტები, რომ არ ვიცი... მე მგონი, მუდმივად იქნება ეს პრემია იმიტომ, რომ ეს ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს პირადად მე. ახლა მინდა, გაცნობოთ ყველას იმ დიდი ქართველის, იმ დიდი მწერლის სახელი, რომელიც დღეს დაჯილდოვდება „საბას“ პრემიით ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის...“

„...ჭაბუკ ამირეჯიბი!“ - გამოაცხადა მამუკა ხაზარაძემ და ის, ვინც აქამდე შედარებით მშვიდად ადევნებდა თვალ-ყურს დაჯილდოების ცერემონიალს და სკამზე იჯდა, ფეხზე წამოუდგა მწერალს. ჭაბუკ ამირეჯიბის ულოცავდა დიდიც და პატარაც, მწერლებიცა და სხვა პროფესიის ადამიანებიც, ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ნაუკითხავს „დათა თუთაშხია“.

და აი, ბატონი ჭაბუკას წერილიც, რომელიც კონკურსის ორგანიზატორებმა და ჟიურის წევრებმა ცერემონიალის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიღეს: „პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო!

საოცარ ეპოქაში ვცხოვრობთ. არცთუ

შორეულ მომავალში სხვადასხვა ორდენებსა და მედლებს შეცვლის ჯილდოები, ჩემი ხნისა და ჯანმრთელობის ადამიანს რომ, პირდაპირი მნიშვნელობით, არგებს. მაგალითად, „მგლის მუხლის“ ჯილდო, „კარგი ყურთასმენის“, „თვალთახედვის“ ჯილდო და სხვა ასეთები ანუ ის, რაც ჩემი ხნის კაცს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ლიტერატურული მოღვაწეობის ნახალისებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოში ყოველწლიურად რამდენიმე კარგი კონკურსი ეწყობა და უნდა ითქვას, რომ ამ საქმის ორგანიზატორები ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს აკეთებენ, საუკეთესო სამსახურს უწევენ ქართულ მწერლობას. უღრმეს მადლობას მოვასხენებ „თბილისი ბანკის“ ხელმძღვანელობას და კონკურსის ჟიურის ხსოვნისა და გადამეტებული დაფასებისათვის. სიტყვას გაძღვით, შევეცდები, ვიცოცხლო იქამდე, სანამ ხსენებული ჯილდოების დანსებას შემოიღებს კაცობრიობა. ამაზე მეტი რაღა უფსურვო საკუთარ თავს ერთმა ბებერმა მწერალმა.



თქვენი ჭაბუკ ამირეჯიბი. 1 ივლისი. 2009 წელი.

ნებისმიერ პოლიედურ, მაღალბიუჯეტთან ფილმს შემოღებოდა ისეთი ფინალი, რომლის მომსწრეც წლებანდელი „საბას“ თვითმხილველი აღმოჩნდნენ. აუღერდა მუსიკა კინოფილმიდან „დათა თუთაშხია“, ვხედავდით ჭარმაგ მწერალს, რომელსაც ხალხი ტაშით მიაყვებდა და ბიძინა კვერნაძის მუსიკასთან ერთად გვახსენებოდა გალაკტიონის სიტყვებიც: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან, ერთი ძველი ოცნება დამრჩა ძველ მოტივიდან...“



**ლიტერატურული გაზეთი**  
 რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
 ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ყურული  
 გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით  
 ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com